გოდერძი ჩოხელის მრავალფეროვან ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია მცირეტანიანი რომანი „სულეთის კიდობანი“, რომელშიც ალეგორიული ფორმითაა ასახული საქართველოს უახლესი ისტორია. ნაწარმოებში ღრმად სიმბოლური ენით არის აღწერილი და შეფასებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვითარებული პოლიტიკური პროცესები. გოდერძი ჩოხელი, საზოგადოდ, არ მიეკუთვნებოდა იმ ხელოვანთა რიცხვს, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო გამახვილებული ინტერესი სოციალურ-პოლიტიკური საკითხებისადმი. იგი უფრო ზოგადი, ზნეობრივი პრობლემების სფეროში ტრიალებდა. აქედან გამომდინარე, ხსენებული რომანი, მწერლის შემოქმედებაში ერთგვარ თემატურ სიახლედ აღიქმება. ნაშრომში წარმოდგენლია რომანის სიმბოლურ-ალეგორიული პლანისა და ქვეტექსტის ანალიზის მცდელობა, რაც აუცილებელი პირობაა ავტორის მოქალაქეობრივი პოზიციის ნათელსაყოფად.

Salome Bobokhidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Different Narratives – Similar Adventure

From the point of view of political events in Georgia and Germany in the 1990ies, it is interesting to compare two novels, „City of angels“ by German writer Christa Wolf and „The first two circles

and everyone else“ by Georgian writer Naira Gelashvili. By analyzing three factors in the narrative: time, voice and mode, I will try to determine the elements, which make these two narratives similar and different. In these novels we see the fractured communication or rather miscommunication between the characters and outside world, and omitting the omnipotent and omnipresent narrator, mosaic structure of the novels and the broken timeline, makes this gap even larger. I will try to show how narratological elements Create distance, strangeness and homelessness, and how the topic „homelessness and alienation“ gives the novels, which do not contain elements of storyline, a framework.

Levan Bregadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

„Author’s Mask“ and Georgian Postmodernism

One of the most important notions of the postmodern literature is „author’s mask“, the term proposed by the American critic Carl Darryl Malmgren. The „author’s mask“ implies the author’s reflection on the text and its creation process within the text itself.

This literary method that since the 80s of the 20th century has often been used in those writings of Georgian writers that apparently represent postmodernist texts (the works by Otar Chkheidze, Guram Dochanashvili, Naira Gelashvili, Aka Morchiladze, Beso Khvedelidze, Zaza Burchuladze, and others), takes its origin as individual specimens in the Georgian literature of the early 20th century, i.e. in the Georgian literature of the time of modernism and socialist realism. Their observation is useful not only for a better understanding of the post-Soviet literary processes but also for revealing the roots (the genesis) of the Georgian postmodernism.

In this work, besides the contemporary samples of the „author’s mask“, it is analyzed prior postmodernism manifestations of this literary method, which, from the point of view of the writing techniques, seem quiet unusual for the time, and at the same time cannot be placed within the framework of modernism or socialist realism, and from today’s observation they may be considered as the messengers of the postmodern literary stile.

ლევან ბრეგაძე

საქართველო, თბილისი,

მოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ავტორის ნილაბი“ და ქართული პოსტმოდერნიზმი

პოსტმოდერნისტული ლიტერატურის მცოდნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცნებაა „ავტორის ნილაბი“, ტერმინი შემოთავაზებული ამერიკელი კრიტიკოსის კ. მამგრენის მიერ. „ავტორის ნილაბი“ გულისხმობს ავტორის რეფლექსიას ტექსტსა და მისი შექმნის პროცესზე თვითონ ტექსტშივე.

ეს ლიტერატურული ხერხი, რომელიც მე-20 საუკუნის 80-ანი წლებიდან ხშირად გამოიყენება ქართველ მწერალთა იმ თხზულებებში, აშკარად პოსტმოდერნისტული ყადის ტექსტებს რომ წარმოდგენენ (ოთარ ჩხეიძის, გურამ დოჩანაშვილის, ნაირა გელაშვილის, აკა მორჩილაძის, ბესო ხვედელიძის, ზაზა ბურჭულაძისა და სხვათა ნაწარმოებებში), სათავეს, ცალკეული ნიმუშების სახით, მე-20 საუკუნის დამდეგის, ანუ მოდერნიზმისა და სოციალისტური რეალიზმის დროინდელ ქართულ მწერლობაში იღებს. მათზე დაკვირვება სასარგებლოა პოსტსაბჭოური ხანის ლიტერატურული პროცესის უკეთ გასაგებადაც და ქართული პოსტმოდერნიზმის ფესვების (გენეზისის) წარმოსაჩენდაც.

ნაშრომში „ავტორის ნილაბის“ თანამედროვე ნიმუშების გვერდით გაანალიზებულია ამ მხატვრული ხერხის პოსტმოდერნიზმამდელი გამოვლინებანი, რომლებიც, სამწერლო ტექ-

ნიკის თვალსაზრისით, იმ დროისათვის ერთობ უჩვეულონი ჩანან, ვერც მოდერნიზმისა და ვერც სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოებში ვერ თავსდებიან და, დღევანდელი გადასახედიდან, პოსტმოდერნისტული ლიტერატურული სტილის მაცნეებად აღიქმებიან.

Rūta Brūzgienė

Lithuania, Vilnius

Mykolas Romeris University

Juozas Baltušis's Novel „Sakmė apie Južą“ [Saga about Juza]: an Archetypal Expression of the Nation's Vitality

Juozas Baltušis (1909-1991) a well-known Lithuanian writer, political and public figure created dozens of prose and drama works, which were translated into many languages of the world and have been awarded various prizes. The novel „Sakmė apie Južą“ [Saga about Juza] (1979) received the LSSR State Prize in 1980, the prestigious French prize in 1990, etc.. In Lithuania, the „Saga“ gained particular popularity as an original myth poem, which erupted as an expression of the archetypal Lithuanian worldview, was like a secret sign of resistance. At that time, J. Baltušis reached the peak in the political establishment: in 1980-1990, he was a member of the Supreme Council of the Lithuanian SSR. At the beginning of the Sąjūdis the writer tried to be loyal (1988), but he did not understand the new political winds, turned towards the Moscow ideologists and was rejected by society as a traitor to the nation.

After nearly three decades, it would be worthwhile to return to the analysis of the writer's proficiency, regardless of time policy or Soviet ideology. The paper will analyse the mythopoetic archetypicality of the novel „Sakmė apie Južą“, which manifests with feelings of Lithuanian nature, the vitality and richness of the lexis, melodious-

ness, traditional ethics, etc. The work will be based on P. Bražėnas, A. Kalėda, A. J. Greimas, M. Eliade, I. Vedrickaitė, V. Kubilius, K. Ambrašas, A. Juodytė-Žizienė, J. Lubienė, S. Valentas writings. The comparative methodology will be used.

Svetlana Bunina

Bulgaria, Bansko

The Institute of Literature and Translation

Private History and Collective Trauma in the Newest Literature of Eastern Europe

The world literature of 1980-90th was famous by the rise of non-fiction genres. This kind of literature played a special role in the post totalitarian countries: memoirs, autobiographies of people who endured communism became an informal communication, creating «solidarity of shaken» (Jan Patočka). A critical lot of this personal experience on pages of books and magazines led to changes of the official historical concept, making it more personalistic, implanted in Europe. Getting into the fiction, this discourse blew up a structure of the modern prose – from novels „Field Work in Ukrainian Sex“ by Oksana Zabuzhko and „Three Seconds of Heaven“ by SigitasParulskis, where the private story is implemented in the national trauma, to Vladimir Sharov’s novels with their consecutive deconstruction of the big history, and Svetlana Alexievich’s prose, sounded even silent people from the crowd.

However, while this tendency was supported by the idea of national revival and decolonization in the Eastern Europe, in Russia the colonial scenario („internal colonization“ on Alexander Etkind) continued to develop. Since 2000s, the ideological substitution of totalitarianism trauma to the trauma of „disintegration of the great country“ led to devaluation of private stories. Memory in Russia

„immigrated“ to the narrow space of elite literature (the last outstanding example – „In Memory of Memory“ by Maria Stepanova) and ceased to play a significant humanitarian role in the society. It seems to be one of the reasons of the lasting crisis in Russian literature compare to blossoming literary life in the neighboring states. And strategically, the intention to reproduce „victims’ voices“ seems to be a way to disposal the collective trauma of the totalitarian past.

Tatiana Bystrova

Russia, Moscow

Moscow City Pedagogical University

Intertextuality of Italian Non-fiction: a Legacy of Postmodernism?

Autofiction appeared in Italy in late 90s as an attempt to deviate from postmodernism and return to realism, documentary realism in fact. With this in view, the author exhibits a homonymous figure as a protagonist – in autofiction, the main character has the same name as the author, while the narration is a mix of real and fictional facts from the author’s life.

However, writers who adhere to this genre in Italy, like Walter Siti or Giuseppe Genna, literally turned out to be successors of postmodernism. Pier Paolo Pasolini turns out to be a sort of father of Siti’s literature – Walter Siti has been a researcher of Pasolini’s works for many years; Pasolini’s writings are an important milestone in the Italian literature for Genna too, along with Giacomo Leopardi. Pier Vittorio Tondelli is also not the least in their creative work – he is the one referred to by Italian critics as the last representative of Italian postmodernism.

In Siti’s and Genna’s novels, a researcher can find vast material for analysis of the intertextual component because these are abundant in both acknowledged quotations and unacknowledged quotations

and numerous allusions. We have already dedicated many works to the analysis of unacknowledged quotations in Guiseppe Genna's novel, which is why in this article, we are going to dwell upon W. Siti's works and will study his novel *Too Many Paradises* in terms of allusions and unacknowledged quotations.

Olha Chervinska

Ukraine, Chernivtsi

Yuriy Fedkovych Chernivtsi National University

The Split Unity (the novel by Eugene Vodolazkin "Brisbane")

The events of 1991 that have split the consciousness of the witnesses of that time continued it in the form of two separate directions. We may still see it, although each of these directions has already acquired the next, new generation. However, the unity remains inviolable, which is proved by the texts of the most sensitive writers. In this respect, it is advisable to consider the novel by Eugene Vodolazkin as the best pattern. This lyrical-epical text might be regarded through a „metallurgic“ metaphor as a standard of a „high quality alloy of metals“. Here we mean the unity and the combination of all the text parameters: life and music as an inviolable unity and a sense of existence, the constantly moving towards each other dates from the diary of a prominent American guitar player Gleb Yanovsky, as well as the linearity of the real facts from his musical biography. In addition, in text we come across his parents (father was a Ukrainian, mother – a Russian), numerous and versatile events in a universal plot line, the protagonist himself, as well as his love affairs (of both platonic and erotic nature), Ukraine and Russia after 1991, both of which he is equally affected to, multi-layered personosphere and narration, a permanently moving narrative space, paratextual elements (dedication and epigraph, P. S) and, finally, a unique combination of the Ukrai-

nian and Russian languages, which makes it completely impossible to translate the novel into any language. There are no extra words in the novel: its rhythm and semantics are unambiguous and supplement each other. The disintegration of unity leads to death. In this aspect, particular emphasis is laid on the poetics of a place – a topos of reality (the vital space of events) is presented in the description of great cities like Kyiv, Moscow, Leningrad, Paris, Munich, New York. Each of them is opposed by far away Brisbane, a mythologized city (very close in its perception to Hades), which absorbs for ever everything that is so dear and valuable for the protagonist.

Ramaz Chilaia

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Texts of the „Epoch of Changes“

The fall of the Berlin Wall in 1989, the cast down of the East European totalitarian systems, the breakdown of the Soviet Union – this is just the basis that determined the postmodernist eschatology. In the eighties and nineties of the twentieth century the historical-political discussion and critical narrative became very actual, or it can be said, even popular. Consequently, it is clear that literary processes would not be indifferent to these painful changes.

The eighties and the nineties is just the period of the time when the influence of the humanities discourse on the fiction is coming to an end. R. Barthes, J. Lakan, M. Foucault leave the arena. The so-called „epoch of changes“ replaces the pre-literary period. The schools or lines of different literary activity lose their authority. The vanguard thinking space is decolorized as well. The „epoch of changes“ gives start to new ideas, to new narrative strategies. The aesthetics of united or hybrid forms lays the foundation for the new model of novels. The

new narrative strategies add to the abolishment of the elite and mass literature borders.

At the same time, postmodernism must be considered as the most outstanding phenomenon of that cultural period. Postmodernism cannot be characterized as a literary phenomenon only. Postmodernism was the attempt of finding intermediate synthesizing ways between modernism and mass-culture. If the driving force of modernism was the establishment of the new by the rejection of the old, we can easily view that postmodernism was conceived in a parallel format. It didn't reject the old. There were even no attempts of it. We view in the postmodernism some kind of ironization of the existent heritage. At the same time postmodernism strongly represents the realistic flow.

The abolishment of the censorship and the democratic processes created favorable conditions for the forms of expression to such extent that sometimes realism approximated naturalism in the literary texts.

In the end of the twentieth century Georgian literary processes, notwithstanding some kind of literary crisis, still stand out for their traditional, lasting through many centuries steady experience.

რამაზ ჭილაია

თბილისი, საქართველო

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცვლილებათა ეპოქის ტექსტები

ბერლინის კედლის ნგრევა 1989 წელს, აღმოსავლეთ ევროპული ტოტალიტარისტული სისტემების მოშლა, საბჭოთა კავშირის მოკვდინება – აი, ის საფუძველი, რამაც განაპირობა პოსტმოდერნისტული ესქატოლოგია. XX საუკუნის 80-90-იან წლებში გამძაფრდა თუ მოდური გახდა ისტორიულ-პოლიტიკური დისკუსია და კრიტიკული ნარატივი. ცხადია, ლიტერატურული პროცესები ვერ დარჩებოდა გულგრილი მტკივნეული ცვლილებების მიმართ.

80-90-იანი წლები ეს ის დროითი მონაკვეთია, როდესაც დასასრულს უახლოვდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დისკურსის უპირობო ზემოქმედება მხატვრულ შემოქმედებაზე. ასპარეზს ტოვებენ რ. ბარტი, ჟ. ლაკანი, მ. ფუკო. დგება „ცვლილებათა ეპოქა“, ძალას კარგავენ სხვადასხვა მიმართულების სკოლები თუ მიმდინარეობები, გაფერმკრთალებულია ავანგარდისტული სააზროვნო სივრცეც. ისახება ლიტერატურის ახლებური კონცეფციები, ახალი ნარატივისმიერი სტრატეგიები. შეუღლებულ თუ ჰიბრიდულ ფორმათა ესთეტიკა საფუძველს უდებს რომანის ახლებურ მოდელებს. ახალი ნარატიული სტრატეგიები ხელს უწყობს ელიტური და მასლიტერატურის საზღვრების მოშლას.

ამავე დროითი პერიოდის კულტურის გამორჩეულ მოვლენად, ალბათ, პოსტმოდერნიზმი უნდა მივიჩნიოთ. მოვლენა, არამხოლოდ ლიტერატურული. იგი მოდერნიზმსა და მასკულტურას შორის შუალედური სინთეზირების გზების დაძებნის მცდელობა იყო. თუ მოდერნიზმის მამოძრავებელი ძალა ძველის უარყოფით ახლის დადგინება გახლდათ, პოსტმოდერნიზმი მოდერნიზმთან პარალელურ რეჟიმში ჩაისახა. ძველის უარყოფა მას არც კი უცდია, ოღონდ ნამემკვიდრევის ერთგვარ ირონიზებას შეეცადა. ამასთანავე, პოსტმოდერნიზმში რეალისტური ნაკადიც მძლავრადაა განსახოვნებული. ცენზურის მოშლამ, დემოკრატიულმა პროცესებმა თავისუფლება შესძინეს გამოხატვის ფორმებს, იმდენად, რომ რეალიზმი ზოგჯერ ნატურალიზმსაც კი მიუახლოვდა ლიტერატურულ ტექსტებში.

XX საუკუნის ბოლო ოცწლეულის ქართული სალიტერატურო პროცესები, გარკვეული კრიზისული ფაზის მიუხედავად, მაინც ტრადიციული, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების უწყვეტობით გამოირჩა.

კრიტიკოსები ერთხმად მიანიშნებენ, რომ რომანის ჟანრული ფორმა კვლავ უბრუნდება პირველსაწყისს – ამბავთ თხრობას. რა თქმა უნდა, ახლებური გააზრებით. ახლებური

მხატვრული პრაქტიკა ასევე ახლებური ესთეტიკური პარადიგმის ჩანაცვლებით ხდება. როდესაც საკუთარ თავს ვხვებით, ამით გარესამყაროსაც სრულუკმნით; მხოლოდ ზნეობრივი განვითარებითაა შესაძლებელი საზოგადოებრივი სრულყოფაც.

Lasha Chkhartishvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

War, Epoch, City ...

(Severe Problems of the 90-ies of the 20th Century in the Modern Georgian Theatre Directing)

Severe political and social problems of the 20th century received a response by the Georgian Theatre with a slight delay, however still in the 90-ies. It turned out that at the end of the second decade of the 21st century the problems that have been important in the 90-ies of the last century are still unresolved. In the art of new generation stage directors who emerged right in the period when Georgia was overwhelmed with wars and decomposed state institutions, distanced themselves from time and reflected important themes anew. These themes have not yet lost their importance now.

Directors born after the independence of Georgia in 1991 reflect the legacy of the previous century and analyze the results that touched their lives. The war, the epoch and city that they inherited, turned into a trauma.

Scars of wars are seen in Royal District Theatre's production „Women of Troy“ staged by Data Tavadze in 2013. David Gabunia worked on the text; hence, it is not a new edition of Euripides „Women of Troy“. A group of authors created a completely new text based on documentary materials and memories of women that lived through war.

In 2016, the same artistic group performed „Prometheus / 25 Years of Independence“ in the same Theatre. The show was dedicated to the 25th anniversary of the independence of Georgia. A joint play-survey by Data Tavadze and David Gabunia – „Prometheus / 25 years of Independence“ is a performance based on the fragments, memories and overtones of the 25-year history of Georgia’s independence. Along with documentary material and fiction the performance makes a whole chain of extraordinary images. This show, like „Women of Troy“, is based on real accounts and narratives of actors, who are of the same age with Georgia’s independence. Their biography is the history of the independent Georgia. The young actors of the Royal District Theatre tell about important details of their lives as well as the biography of the society. The two are closely intertwined.

„Dead Cities“, performed by Mikheil Charkviani in the Poti Drama Theatre tell a tragic fate of dead and semi-deserted towns, which young dramatist and director Davit Khorbaladze based on the stories of actors and Poti residents. Problems raised in the performance are generalised, gaining global scope. Here the authors tell the history of abandoned, ruined, lifeless cities, received by younger generation as an inheritance from their parents and grandparents after the independence.

ლაშა ჩხარტიშვილი

საქართველო, თბილისი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ომი, ეპოქა, ქალაქი...

(XX საუკუნის 90-იანი წლების მწვავე პრობლემები უახლეს ქართულ სათეატრო რეჟისურაში)

XX საუკუნის მწვავე პოლიტიკურ-სოციალურ პრობლემებს ოდნავ დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოეხმაურა ქართული თეატრი 90-იანებშივე.

აღმოჩნდა, რომ XXI საუკუნის მეორე ათწლეულის დასასრულს, კვლავაც გადაუჭრელია ის პრობლემები, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში იყო აქტუალური. ახალი თაობის რეჟისორთა შემოქმედებაში, რომლებიც სწორედ იმ ეპოქაში გაჩნდნენ, როცა საქართველომ არაერთი ომი გადაიტანა და სახელმწიფო ინსტიტუტებმა ნგრევა განიცადა, დროსთან დისტანცირებით და ახლებურად აისახება წინა საუკუნიდან გადმოყოლილი მწვავე თემები, რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

დამოუკიდებელ საქართველოში (1991 წლიდან) დაბადებული რეჟისორების ცენაზე გვიჩვენებენ წინა საუკუნის მემკვიდრეობას და იმ შედეგებს აანალიზებენ, რომელიც თავად შეეხოთ. ომი, მემკვიდრეობით მიღებული ეპოქა და ქალაქი, რომელიც მათ დახვდათ იქცა ტრამვად.

ომის შედეგად მიღებული ტრამვები აისახა დათა თავაძის სამეფო უბნის თეატრში, 2013 წელს განხორციელებულ სპექტაკლში „ტროელი ქალები“. ტექსტზე დავით გაბუნია იმუშავა და ის არ გახლავთ ევრიპიდეს „ტროელი ქალების“ ახლებური რედაქცია. სპექტაკლის ავტორთა ჯგუფმა დოკუმენტურ წყაროებზე და ომგამოვლილი ქალების მოგონებებზე დაყრდნობით შექმნეს სრულიად ახალი ტექსტი სპექტაკლისთვის.

2016 წელს, ამავე თეატრში, ამავე ჯგუფის მიერ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 25 წლისთავზე, ახალი სპექტაკლის „პრომეთე/დამოუკიდებლობის 25 წელი“ პრემიერა გაიმართა. დათა თავაძისა და დათო გაბუნიას ერთობლივი პიესა-კვლევა – „პრომეთე. დამოუკიდებლობის 25 წელი“, საქართველოს დამოუკიდებლობის 25-წლიანი ისტორიის ფრაგმენტებზე, მოგონებებსა და ასოციაციებზე აწყობილი სპექტაკლი, დოკუმენტურ მასალისა და ლიტერატურული ტექსტების ერთიან ჯაჭვად ლაგდება და არაორდინარულ სახეს იძენს. ისე როგორც „ტროელ ქალებში“, აქაც პიესა მსახიობთა რეალურ ისტორიებს და მონათხრობს ეფუძნება. ისინი და საქართველოს მოპოვებული დამოუკიდებლობა თანატოლები

არიან. მათი ბიოგრაფია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაა. სამეფო უზნის თეატრის ახალგაზრდა მსახიობები ყვებიან მათ და საზოგადოების ბიოგრაფიის მნიშვნელოვან დეტალებს, რომლებიც ერთმანეთზე მჭიდროდ არის გადაჯაჭვული.

მკვდარი და ნახევრადდაცლილი ქალაქების ტრაგიკულ ბედზე მოგვითხრობს მიხეილ ჩარკვიანის ფოთის დრამატულ თეატრში განხორციელებული სპექტაკლი „მკვდარი ქალაქები“, რომელიც ახალგაზრდა დრამატურგმა და რეჟისორმა დავით ხორბალაძემ ასევე მსახიობთა და ქალაქ ფოთის მაცხოვრებელთა მონათხრობზე ააგო. სპექტაკლში დასმული პრობლემები ზოგადდება და გლობალურ მასშტაბს იძენს. მასში ავტორები მიტოვებული, დანგრეული, უსიცოცხლო ქალაქების ისტორიას ყვებიან, რომელიც ახალმა თაობამ დამოუკიდებლობის პერიოდში უფროსი თაობის განმიიღო.

Eka Chkheidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Ruthlessness of the Soviet Regime on the Basis of One Georgian Story

November 18, 1983 was one of the most notable tragic dates in the bloody history of Soviet Georgia, the day when seven armed youngsters tried to hijack the plane from Tbilisi airport. The attempted hijacking ended with failure: the plane landed back at Tbilisi airport. Totally 7 people died: two pilots and one board member, two passengers and two hijackers; Many people were injured during the attack on the airplane.

The whole Georgia was watching the trial, which resulted in imprisonment of 14 years for the only girl who took part in hijacking and after not only the three survived hijackers were shot but also

a cleric who did not commit any crime at all. Presumably, it was the Communists who wanted to make public awareness – the regime would not be willing to concede and all disobedient personality would be strictly punished.

Even though the Communists tried to intimidate the people, they were still completely ignorant of the fact that not a few people signed a petition to pardon the hijackers, but the regime did not pardon the hijackers. The society was split into two parts: one part blamed hijackers in everything and justified the strictest verdict of the court, while the second part saw the crimes of hijacking within the frames of regime and only after blamed the hijackers.

This confrontation is clearly seen in KoteJandieri's story „Invitation to the Movie“, which is distinguished by the feeling of predestination and tragic pathos. In this story not only representatives of different generations fail to understand each other and fight, but young people, friends and close people do not understand each other. That's the reason why Nintzo dies, and dies the love and as the narrator says, „Everything happened because of this ... that your grandfathers did not have the skills and your fathers did not have the strength to love each other, love this dirty cattle-shed, which has a beautiful name – the earth“.

ეკა ჩხეიძე

საქართველო, თბილისი,

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საბჭოთა რეჟიმის დაუნდობლობა ერთი ქართული მოთხრობის მიხედვით

საბჭოთა საქართველოს სისხლიან ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეულად ტრაგიკული თარიღია 1983 წლის 18 ნოემბერი, როდესაც შვიდმა შეიარაღებულმა ახალგაზრდამ სცადა თვითმფრინავის გატაცება თბილისის აეროპორტიდან. გატაცების მცდელობა მარცხით დამთავრდა: თვითმფრინავი ისევ თბილისის აეროპორტში დაეშვა. სულ დაიღუპა 7 ადამი-

ანი: ორი პილოტი და ბორტგამცილებელი, ორი მგზავრი და ორი გამტაცებელი; არაერთი ადამიანი დაშავდა თვითმფრინავის შტურმის დროს.

მთელი საქართველო ადევნებდა თვალს სასამართლო პროცესს, რომლის შედეგადაც 14 წლით პატიმრობა მიუსაჯეს ერთადერთ გოგონას, რომელიც გატაცებაში მონაწილეობდა, შემდეგ კი დახვრიტეს არა მარტო სამივე გადარჩენილი გამტაცებელი, არამედ ერთი სასულიერო პირიც, რომელსაც საერთოდ არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა. სავარაუდოდ, მისი დახვრეტა კომუნისტებს სჭირდებოდათ იმისთვის, რომ საზოგადოებას გაეცნობიერებინა – რეჟიმი არავითარ დამობაზე არ წავიდოდა და ყველა დაუმორჩილებელ პიროვნებას ასე მოსპობდა.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტები ძალიან ცდილობდნენ ხალხის დაშინებას, მაინც მოხდა მათთვის სრულიად გაუთვალისწინებელი რამ: არც ისე ცოტა ადამიანმა ხელი მოაწერა გამტაცებლების შეწყალების თხოვნას, თუმცა რეჟიმმა დამნაშავეები არ დაინდო და ამ პეტიციაზე ხელმომწერთა ნაწილსაც შეწყალების თხოვნაზე უარი ათქმევინა. საზოგადოება ორად გაიყო: ერთი ნაწილი ყველაფერში გამტაცებლებს ადანაშაულებდა და სასამართლოს უმკაცრეს განაჩენს მთლიანად ამართლებდა, მეორე ნაწილი კი ამ ტრაგედიაში უპირველესად რეჟიმის, შემდეგ კი გამტაცებლების დანაშაულს ხედავდა.

ეს დაპირისპირება კარგად ჩანს კოტე ჯანდიერის მოთხრობაში „დაპატიჟება კინოში“, რომელიც გამოირჩევა განწირულების შეგრძნებითა და ტრაგიკული პათოსით. ამ მოთხრობაში არა მარტო სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ვერ უგებენ ერთმანეთს და ჩხუბობენ, არამედ თავად ახლგაზრდებს, მეგობრებსა და ახლობელ ადამიანებს არ ესმით ერთმანეთის. ამიტომ იღუპება ნინცო, კვდება სიყვარული და, როგორც მოთხრობელი ამბობს: „ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა... რომ შენს ბაბუებს არ აღმოაჩნდათ უნარი, შენს მამებს კი ძალა – ყვარებოდათ ერთმანეთი, ყვარებოდათ ეს ბინძური ბოსელი, რომელსაც მშვენიერი სახელი – დედამიწა ჰქვია“.

Tea Dularidze

Tamar Tarkhnishvili

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Antigone Eternal Political Messages
and Georgian Post-modern
„Out of the Present Moment... Antigone“**

Antigone is usually regarded as a paradigmatic political play, i. e. the play reflecting on important political issues. Among these issues the interrelationship of power, in general, and citizen body seems to be most significant. Presently, the above relationship is perceived mainly in the context of civil disobedience against tyranny, though the play was interpreted variously during different time periods by a large number of writers and dramatists all over the world.

The aim of the paper is to study how the Georgian post-modern reception of Antigone resonates the political processes taking place in Georgia in the late 1990s. The play directed by well-known script-writer Nana Janelidze and performed in 2002 in Tbilisi Basement Theatre appears to be the mix of Sophocle's, Anouilh's and Janelidze's version. The author connecting Sophocle's and Anouilh's themes with the theory of reincarnation of souls by this experiment tries to find her own answer to the eternal question – as who, embodiment of which forces appear to be Kreon and Antigone and consequently their modern reincarnations – ordinary artists of XXI century theatre company. The paper will discuss the means the director used to reflect on Georgia's complex political and moral crisis of the corresponding period, period when the Georgian civil society confronted a corrupt political regime.

The paper will work out the literary discourse of the performance as well. Nana Janelidze's approach to Sophocles' and Anouilh's versions – making their mix – is embodied in a very unusual form for the Georgian stage, in an ancient genre of Mennipea, which aims to

present as if incompatible polarities – performance is played in two dimensions of time, space and two different realities. The text of this experiment is respectively eclectic, not developed linearly, presented as the deconstruction of the above plays.

The conclusions of the paper will suggest useful insights for the studies of the interrelation of political and literary processes as well as for the analysis of the post-modern Georgian literary discourse.

თეა დულარიძე

თამარ თარხნიშვილი

თბილისი, საქართველო

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**„ანტიგონეს“ მარადიული პოლიტიკური
გზავნილები და ქართული პოსტ-მოდერნისტული
„მინდა გამოსვლა წამიდან... ანტიგონე“**

„ანტიგონე“ ჩვეულებრივ პარადიგმატულ პოლიტიკურ პიესად განიხილება, პიესად, რომელიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ თემებს წარმოგვიდგენს. მათ შორის, ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო საკითხად ხელისუფლების, ზოგადად, და მოქალაქის ურთიერთმიმართება გვევლინება. თანამედროვე ეტაპზე „ანტიგონეს“ ზემოაღნიშნული დისკურსი ძირითადად ტირანისა და სამოქალაქო დაპირისპირების კონტექსტია გააზრებული, თუმცა უნდა ითქვას, რომ პიესა სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში ამ ჭრილში განსხვავებულად იყო ინტერპრეტირებული.

ჩვენი მოხსენების მიზანია, შევისწავლოთ, თუ როგორ ეხმიანება ქართულ სცენაზე 2002 წელს დადგმული „ანტიგონე“ XX საუკუნის 90-იანი წლების პოლიტიკურ პროცესებს ამ პიესის მთავარი თემის – ხელისუფლებისა და მოქალაქის დაპირისპირების კონტექსტში. თბილისის თეატრალურ სარდაფში ცნობილი სცენარისტის ნანა ჯანელიძის რეჟისორობით დადგმული „მინდა გამოსვლა წამიდან... ანტიგონე“ სოფოკლეს,

ჟან ანუის და თავად რეჟისორის ვერსიების ერთგვარ მიქსს წარმოადგენს. სოფოკლესა და ანუის პიესების მთავარი თემების სულთა რეინკარნაციის თეორიასთან (ნ. ჯანელიძის ვერსია) დაკავშირების გზით ავტორი შეეცადა მოეცა საკუთარი პასუხი მარადიულ კითხვაზე – ვინ, რა პიროვნებები არიან ანტიგონე და კრეონი, რომელი ძალების პერსონიფიკაციად გვევლინებიან ისინი და მათი თანამედროვე რეინკარნაციები – XXI საუკუნის თეატრის მსახიობები. მოხსენებაში განხილული იქნება ის გზები, რომლებითაც რეჟისორმა წარმოაჩინა იმ პერიოდის საქართველოს კომპლექსური – სოციო-პოლიტიკური და მორალური კრიზისი, პერიოდისა, როცა საქართველოს მოქალაქეები კორუმპირებულ პოლიტიკურ რეჟიმს დაუპირისპირდნენ.

მოხსენებაში საგანგებო ყურადღება დაეთმობა ნ. ჯანელიძის სპექტაკლის ლიტერატურულ დისკურსს. სოფოკლესა და ანუის „ანტიგონეს“ მისეული მიქსის ჩვენება ნ. ჯანელიძემ ქართული თეატრისათვის უჩვეულო ჟანრში – მენიპეას ანტიკურ ჟანრში გადაწყვიტა. ეს ლიტერატურული ჟანრი წარმოგვიდგენს თითქოსდა შეუთავსებელ პოლარობებს – სპექტაკლი ორ განსხვავებულ დროსა და სივრცეში და ორ განსხვავებულ რეალობაში წარიმართება. ამ ექსპერიმენტის ტექსტი ეკლექტურია, აქ არ არის სწორხაზოვანი მოქმედება, ხდება ზემოაღნიშნული პიესების დეკონსტრუქცია.

მოხსენების დასკვნები საყურადღებო იქნება როგორც პოლიტიკური და ლიტერატურული პროცესების ურთიერთმიმართების კვლევის თვალსაზრისით, ისე პოსტმოდერნისტული ქართული ლიტერატურული დისკურსის შესწავლის კუთხითაც.

Roman Dzyk

Liliia Shutiak

Ukraine, Chernivtsi

Yuriy Fedkovych Chernivtsi National University

**Ukraine of the 90-s in a „New Journalistic Novel“
by Les Beley „The Wicked Nineties:
Love and Hatred in Uzhhorod“**

Understanding of any historical epoch requires a certain time distance. Today, we are dealing with such a „distance“ regarding the 90-s of the last century, which was a very important period in the world history on the whole, and the Post-Soviet countries in particular. In addition, understanding of new historical stages also requires new literary approaches. An interesting attempt to describe Ukrainian reality of the 90-s in a new journalistic style is the novel by Les Beley „The Wicked Nineties: Love and Hatred in Uzhhorod“ (2014). In this work, real characters tell real stories in their own voices. At the beginning of the novel, O. Beley gives a short factual description of the epoch, using the narrations of its contemporaries. Among them are his friends and relatives, as well as other numerous „witnesses“ of the epoch, with whom the writer has spent much time. These are the representatives of various youth subcultures, bartenders, disc jockeys, policemen, etc. The author describes in detail the memories of those events, using direct and indirect speech, as well as the „characters’ voices“. All these conversations form a peculiar image of Transcarpathia of the 90-s. The narration is held in the first person singular, the author constantly emphasizes his presence during the events he describes. Sometimes, he changes the course of his narration, speaking on behalf of his characters and „trying on“ their roles. The text is full of essential documentary facts. Much attention is paid to the reference information that is related to certain sub-cultural movements, gossip about actors, business of the 90-s, financial crisis, lack of goods, and criminal conflicts. O. Beley uses a lot of dialogues, quotations, inter-

view fragments, slang, dialectisms and colloquialisms. The book contains practically all the techniques of „new journalism“, suggested by T. Wolf. The fact that they are present in the text does not only enable the readers to interpret it as a „new-journalistic novel“, but also proves the formation of a new literary-journalistic tradition in Ukraine.

Ketevan Elashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Publicistic Discourse in „Intellectual Mist“
(Monologue from Dialogue by Jemal Karchkhadze)**

Jemal Karchkhadze found the most exact name for the profanation of national soul – „Intellectual Mist“. The intensity of this „mist“ was heterogeneous during seventy years, though, unfortunately, it reached the Georgian literature of 80-90 years, where impressive squad of yesterday's „lead socialrealists“ with false pathos urgently fit in the robe of „caring about nation“.

At this moment, Jemal Karchkhadze, expelled from the „chosen caste“ of writers, entrusted only to his word and creative will, managed to „read“ widely the nation's modern history in the format of publicistic discourse, in order to implant in social consciousness his philosophic „judgment“ about realization of national energy at this fateful section.

This „task“ and also criticism of Ilia's „happy nation“, seems to be conditioned by the fact that in this uncontrollable situation the smog of spiritual disorientation devoured the sign of self-preservation that should keep from danger the society, which was floating in the tides of vanity: „Literature... should create the island of morality in turbid water – shelter, gathering place and confrontation as well“. Here needs to be considered the role of Georgian literature in historical and cultural „biography“ of our nation: Writer, with his providential

talent and „sympathetic mind“ sometimes appeared as an oracle and priest, sometimes as a carer and martyrologist and sometimes would give the „literature miracle“ to the reader, which lacked „national responsibility and high moral“. Here let us recall Jemal Karchkhadze’s words – „every writer is publicist by nature, notwithstanding the fact of ever using this genre or not“. We should remember, because in our reality exactly this kind of publicism took the burden of realizing the ethnic life in political and philosophical foreshortening.

That is why the publicistic works of Jemal Karchkhadze reminds Georgian society the supremacy of freedom and tries to scatter the mist of „false pathos“ spoken out loud in the name of freedom. The chrestomathic illustration of this is – „Monologue from Dialogue“ (1988), which can be considered as the landmark work in the history of Georgian publicism. In this letter author gives us the eloquentethical discourse that was most on time, but –we read and forgot, like the teachings of Ilia.

ქეთევან ელაშვილი

თბილისი, საქართველო

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პუბლიცისტური დისკურსი „ინტელექტუალურ ბურუსში“ (ჯემალ ქარჩხაძის „მონოლოგი დიალოგიდან“)

ჯემალ ქარჩხაძემ სრულიად ზუსტი სახელდება მოუძებნა ეროვნული სულის პროფანაცია – „ინტელექტუალური ბურუსი“. ამ „ბურუსის“ ინტენსივობა არაერთგვაროვანი იყო სამოცდაათი წლის განმავლობაში, თუმცა, სამწუხაროდ, ის გასული საუკუნის 80-90-იან წლების ქართულ მწერლობასაც გადმოწვდა, სადაც გუშინდელ „მოწინავე სოცრეალისტთა“ შთამბეჭდავმა რაზმმა ყალბი პათეტიკით სასწრაფოდ მოირგო ერის მოჭირნახულის მანტია.

სწორედ ამ დროს, მწერალთა „რჩეულ კასტას“ განაპირებულმა, მხოლოდ საკუთარ სიტყვასა და შემოქმედებით ნებე-

ლობას მინდობილმა ჯემალ ქარჩხაძემ შეძლო პუბლიცისტური დისკურსის ფორმატში მასშტაბურად „წაეკითხა“ ქართველი ერის თანადროული ისტორია, რათა საზოგადოებრივ ცნობიერებაში შთაენერგა თავისი ფილოსოფიური „განსჯა-განკითხვა“ ეროვნული ენერჯის რეალიზაციისა ამ საბედისწერო მონაკვეთზე.

ეს „ზეამოცანა“, როგორც ჩანს, პირველ ყოვლისა, იმან განაპირობა, რომ ამ კრიტიკულ სიტუაციაში, სულიერი გზა-აზნეულობის ბურუსმა შთანთქა თვითგადარჩენის ის ორიენტირი, რომელსაც უნდა განერიდებინა ხიფათისაგან ამაოების ტალღებს მინდობლი საზოგადოება: „მწერლობას... მღვრიე წყალში უნდა შეექმნა ზნეობის კუნძული – თავშესაფარიც, თავშესაყარიც და დაპირისპირებაც“. აქ, ცხადია, გასათვალისწინებელია ქართული მწერლობის როლი ჩვენი ერის ისტორიულ თუ კულტურულ „ბიოგრაფიაში“: მწერალი, თავისი პროვიდენციალური ნიჭითა და „გულისხმიერი გონით“ ხან ერის წინასწარმეტყველად და ქურუმად გვევლინებოდა, ხან ჭირისუფლად და მარტიროლოგად, ხანაც „ლიტერატურულ სასწაულს“ მოუვლენდა ხოლმე „ეროვნულ პასუხისმგებლობასა და მაღალ ზნეობას“ მოკლებულ ერს. ამასთანავე, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ „ყოველი მწერალი, მიუხედავად იმისა, მიმართავს თუ არა როდესმე ამ ჟანრს, მოწოდებით პუბლიცისტიცაა“. რადგან ჩვენში – სწორედ პუბლიცისტიკამ იტვირთა ფილოსოფიურ ჭრილში, პოლიტიკური აქცენტებით, ერის ცხოვრების გაშინაარსება.

ამიტომაც, რომ ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტური ნაწერები ქართულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ ახსენებს თავისუფლების უზენაესობის არსს და ცდილობს თავისუფლების სახელით წარმოთქმული „ცრუპათეტიკის“ ბურუსი გაფანტოს. ამის ქრესტომათიული ილუსტრაციაა – „მონოლოგი დიალოგიდან“ (1988 წელი), რომელიც საეტაპო ნაწარმოებად შეგვიძლია ჩავთვალოთ ქართული პუბლიცისტიკის ისტორიაში. ამ წერილში ავტორი მრავლისმთქმელ ზნეობრივ დის-

კურსს გვთავაზობს, რომელმაც თითქოს სულზე მოგვისწრო, მაგრამ – წავიკითხეთ და რატომღაც იქვე დავივიწყეთ, ილიას შეგონებებისა არ იყოს...

Maka Elbakidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Actualization of a Topical Literary Theme on the Georgian Stage (Lasha Tabukashvili's „Does it Matter if Wet Lilac is Wet?!”)

Lasha Tabukashvili's play „Does it Matter if Wet Lilac is Wet?!” reliably shows the situation in post-war Georgia. Historical truth (post-war stagnation in 90es, the hard social background, hunger, criminality etc.) and fiction are skillfully intertwined in the plot of the work and against this background the tragedy of the so-called „lost generation“ is revealed. There are only eight characters in the play (four of them are main) who embody the whole spectrum of the post-war, economically impoverished and morally degraded population. These are: young guys, who went to war with patriotic motives – the so-called „golden youth“ – educated, capable, well-read, and now passive, depressed young men, turned into drug addicts and into drunkards (Bacha, Gio, Kosta); criminal authorities (Gela and his companion); pseudo-intelligentsia, thrown into the pool of hopelessness (Devi); a teenager who became disabled from a blind bullet (Tea) and temporarily moved from a parallel world to our reality babysitter Nia. From their dialogues it can be seen that Georgian society, which abandoned the „idiotic sobriety“, hopes only on the help of newcomers from the parallel world.

The play, which was first staged at the Rustaveli Academic Theater, was a huge success. In Tbilisi of the 90s there was not one person among young people who had not watched this performance at least once. The winged phrases from the play were heard in every

corner. Nevertheless, the older generation claimed that the „Lilac“ popularized violence and drug addiction and corrupted the younger generation.

How can one explain the popularity of the play / performance that it is successfully staged in Georgian theaters to this day? The analysis of this issue one can find in this paper.

მაკა ელბაქიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მწვავე ლიტერატურული თემის აქტუალიზაცია ქართულ სცენაზე (ლაშა თაბუკაშვილის „მერე რა რომ სველია სველი იასამანი“)

ლაშა თაბუკაშვილის პიესაში „მერე რა რომ სველია სველი იასამანი“ შეულამაზებლადაა გადმოცემული დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგდროინდელი საქართველოს ყოფა. პიესის მხატვრული ქსოვილი ინტერჟანრობრია – რეალურ ამბებს (აფხაზეთის ომის შემდგომი სტაგნაცია, უმძიმესი სოციალური ფონი, უშუქობა, კრიმინალი და ა.შ) ენაცვლება ფანტასტიკურ-ირეალური პასაჟები და სწორედ რეალისტურისა და პირობითობის ამ ნაზავის ფონზე იკვეთება ე.წ. „დაკარგული თაობის“ ტრაგედია.

პიესაში სულ 8 პერსონაჟია (აქედან ოთხი – მთავარი), რომლებიც განასახიერებენ ნაომარი, ეკონომიკურად გაჩანაგებული და მორალურად დეგრადირებულ-გადაგვარებული მოსახლეობის სრულ სპექტრს. ესენია: აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში პატრიოტული აღტკინებით წასული ბიჭები – ოდესღაც გამორჩეულნი ოჯახისშვილობით, განათლებით, ნიჭიერებით, ახლა კი გადაგვარებულნი, პასიურნი, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულნი, განარკომანებულ-გალოთებულნი (ბაჩა, გიო, კოსტა); შავი სამყაროს ქურდული ავტორიტეტები (გელა და მისი „მუნჯი“ თანმხლები); უიმედობის მორევში ჩადი-

რული ფსევდოინტელიგენცია (დევი); ბრმა ტყვიით ხეიბრად ქცეული მოზარდი (თეა); პარალელური სამყაროდან („აწყობილი საქართველოდან“) დროებით „ჩვენს“ რეალობაში გადმოსული ბეიბისიტერი (ნია). მათი დიალოგებიდან ჩანს, რომ იმდროინდელ ქართულ საზოგადოებას, რომელსაც აღარ სურს „იდიოტური სიფხიზლე“, მხოლოდ პარალელური სამყაროდან მოვლენილთა დახმარების იმედილა აქვს შერჩენილი...

პიესა პირველად 1997 წელს დაიდგა რუსთაველის თეატრში (რეჟ. რობერტ სტურუა, დავით ხინიკაძე) და არნახული წარმატება ხვდა წილად. სპექტაკლის ფრთიან გამონათქვამებს მაშინ ხშირად გაიგონებდით ქალაქში. 90-იანების ნაცრისფერ თბილისში თითქმის არ არსებობდა ახალგაზრდა, ერთხელ მაინც რომ არ ჰქონოდა ნანახი „იასამანი“, თუმცა უფროსი თაობა ამტკიცებდა, რომ სპექტაკლი რყვნიდა ახალგაზრდობას და პოპულარიზაციას უწევდა ნარკომანიასა და ძალადობას.

რამ განაპირობა პიესის/სპექტაკლის იმდენად დიდი პოპულარობა, რომ 2002 წელს მისი სატელევიზიო ვარიანტი შეიქმნა, სულ ახლახან, 2016 წელს კი, თავისუფალ თეატრშიც დაიდგა (რეჟ. გიორგი თოღაძე). სწორედ ამ საკითხის ანალიზს ეძღვნება აღნიშნული მოხსენება.

Maria Filina

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Russian Literature in Georgia at the end of XX – Beginning of XXI Century (public role and teaching)

In Georgia, in the XX century, a fundamental school of Russian studies was established, in particular, on the study of Georgian-Russian literary relations. Russian literature has become an integral part of Georgian culture.

After the collapse of the USSR and in the 1990s, this atmosphere was dispelled, the attitudes were overestimated, there was an undoubted orientation of Georgia to other values, including cultural ones.

The new generation was isolated from Russian culture. Political processes have different passions, sometimes cruelty. The question of whether the whole branch of science of Georgia will survive and, if it does, in what form... This, of course, affected the functioning and teaching of Russian literature.

Least of all the rejection caused by political conflicts affected the literature, but in this case there was a whole range of problems superimposed on the political. First, Russian literature has ceased to be close, a generation has grown up, detached from its realities. Contacts were very limited. Secondly, new programmes have been introduced in which the number of hours devoted to literature has been drastically reduced. The school has revised the study of not only Russian but also native Georgian literature. The world has ceased to be literary-centric, the vector of mental perception has changed irrevocably.

Nevertheless, interest in Russian literature remains, Russian-Georgian literary relations are developing, but in a different format. And in this situation it is very important to develop a new methodology for the study of Russian literature at all levels – from school to University.

მარიამ ფილინა

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**რუსული ლიტერატურა საქართველოში XX საუკუნის
ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში
(საზოგადოებრივი როლი და სწავლება)**

XX საუკუნეში საქართველოში შექმნილი იყო რუსისტიკის ფუნდამენტური სკოლა, კერძოდ, ქართულ-რუსული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთკავშირების კვლევის მიმართულებით. რუსული ლიტერატურა ქართული

კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცა, მჭიდრო კავშირი დამყარდა ორი ქვეყნის ელიტებს შორის.

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ 1990-იან წლებში ეს ატმოსფეროც გაქრა, განწყობები გადაფასდა, საქართველო გადაჭრით ორიენტირდა სხვა ფასეულობებზე, მათ შორის იყო კულტურული ფასეულობებიც. ალბათ, არც ერთი ენა ყველა იმ თავისი ელემენტით, რომელსაც იგი თავის თავში ატარებს, იქნება ეს კულტურული კოდი თუ ლიტერატურული მემკვიდრეობა, არ აღმოჩენილა ისეთ რთულ ვითარებაში, როგორც ეს რუსულ ენას დაემართა საქართველოში.

ახალი თაობა სრულიად იზოლირდა რუსული კულტურისგან. პოლიტიკური პროცესები გამოირჩეოდა ვნებათაღელვის, რიგ შემთხვევებში კი სისასტიკის სიმძაფრით. ურთიერთობათა ტონალობა ლამის განუზომლად სასიკეთოდან ნერვულ-აგრესიულში გადაიზარდა. რუსისტების წინაშე დადგა საკითხი: გადარჩებოდა თუ არა ქართული მეცნიერების მთელი დარგი და თუ გადარჩებოდა, რა სახით... ეს, რასაკვირველია, აისახა რუსული ლიტერატურის ფუნქციონირებასა და სწავლებაზეც.

ყველაზე ნაკლებად ეს მოწყვეტა, რაც პოლიტიკური პროცესების შედეგი იყო, ლიტერატურას შეეხო, თუმცა მოცემულ შემთხვევაში პრობლემათა მთელმა კომპლექსმა იჩინა თავი, რაც პოლიტიკური პროცესებით იყო გამოწვეული. პირველ ყოვლისა, რუსული ლიტერატურა აღარ არის ნაცნობი ლიტერატურა, გაიზარდა თაობა, რომელიც სრულიად მოწყვეტილია მის რეალიებს. კონტაქტები ერთობ შეიზღუდა, რუსული ენა უკვე აღარ გამოიყენება ყველგან, როგორც ეს ადრე იყო. მეორე, შემოვიდა ახალი პროგრამები, რომლებშიც ლიტერატურისთვის განკუთვნილი საათები მკვეთრად შემცირებულია. სკოლებში ხელახლა გადაიხედა არა მხოლოდ რუსული, არამედ საკუთრივ მშობლიური ქართული ლიტერატურის შესწავლის საკითხიც. სამყარო უკვე აღარ არის ლიტერატურულ-ცენტრისტული, მენტალური აღქმის ვექტორი საბოლოოდ შეიცვალა.

მიუხედავად ამისა, რუსული ლიტერატურისადმი ინტერესი მაინც შემორჩა, რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები კვლავაც ვითარდება, თუმცა სხვა ფორმით. ასეთ ვითარებაში კი ერთობ მნიშვნელოვანია როგორც სკოლაში, ისე უნივერსიტეტში რუსული ლიტერატურის შესწავლის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება.

Julieta Gabodze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

„New Lamentations of Jeremiah“ – the Prophecy of Giorgi Chanturia

The leader of the National-Democratic Party – Giorgi Chanturia entered the Georgian political arena in the 70'es of the twentieth century. But the writer Giorgi Chanturia became known to the public with the novel „Ochopintre“ in 1990. In 1993 he published the second part of the trilogy „Moses“, and in 1994 an unauthored tragedy was performed as the „third part of the trilogy“. Giorgi Chanturia was the main character and the victim in this drama.

He began writing quite early. The large amount of his works is created in 1975-1985. He wrote everywhere: at home, at school, on vacation, in or outside the country, in the national security committee isolator, in Rostov or Ortachala prisons. He wrote about the creator, motherland, friend and foe, love and betrayal.

The topic of the writer's thoughts and contemplations is eminently noble: restoring lost faith and freedom, surviving as an individual, which is the primal condition of the nation's existence. Giorgi Chanturia incredibly manages to conceptualize this via biblical, mythological or historical figures. His characters, struggling with the eternal or everyday problems, are constantly in search of the meaning, the truth, they discuss, love, hate, fight, sacrifice, and eventually win.

However, the end is not always happy, and therefore the lamentations of new Jeremiah (from his same-titled novel) are heart-rending, but the author's prophesy is more terrifying: „you will be plucked by your friends, a horrible death awaits you... I continue to the end of the desert and look for the carved words on the last grave stone... “The victim of the politicians' absurdity“ – there are hot blood stains on the marble. Nearby, there is a four-digit date... Last digit should be 4 or 9 (i.e. 1994 or 1999), I wonder, who else?” Unfortunately, nine years since writing the novel, in 1994, this macabre prophesy came true.

Twenty-five years have passed since the murder of Giorgi Chanturia, and 29 – since the first publication of his works. The political hurricanes have passed, it is time for the public to get to know Giorgi Chanturia closely.

ჯულიეტა გაბოძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ახალი იერემიას გოდება“ – გიორგი ჭანტურიას წინასწარმეტყველება

გიორგი ჭანტურია – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოჩნდა ქართულ პოლიტიკურ სარბიელზე. მწერალი გიორგი ჭანტურია კი მკითხველმა 1990 წელს გაიცნო რომანით „ოჩოპინტე“. 1993 წელს მან ტრილოგიის მეორე რომანი „მოსე“ გამოაქვეყნა, 1994 წელს კი „ტრილოგიის მესამე ნაწილი“ – უავტორო ტრაგედია გათამაშდა?! ამ დრამის მთავარი გმირი და მსხვერპლი გიორგი ჭანტურია იყო!

წერა ადრე დაუწყია. მისი შემოქმედების დიდი ნაწილი 1975-1985 წლებშია შექმნილი, წერდა ყველგან: სახლში, სკოლაში, აგარაკზე, ქვეყნის შიგნით და გარეთ, „სუკის“ იზოლატორში, თუ როსტოვისა და ორთქალის ციხეებში. წერდა შემოქმედზე, სამშობლოზე, მოყვარესა და მტერზე. სიყვარულსა და ღალატზე,

მწერლის ფიქრისა და განსჯის საგანი უაღრესად დიადია: დაკარგული რწმენისა და თავისუფლების აღდგენა, პიროვნებად დარჩენა და გადარჩენა, რაც იმავე დროს ერის არსებობის უპირველესი პირობაა. ამ ყველაფრის გააზრებას გიორგი ჭანტურია შესანიშნავად ახერხებს ბიბლიური, მითოლოგიური თუ ისტორიული გმირების მეშვეობით. მარადიულ თუ ყოფით პრობლემებს შეჭიდებული მისი პერსონაჟები გამუდმებით ეძებენ სამყაროს საზრისს, ჭეშმარიტებას, მსჯელობენ, უყვართ, სძულთ, იბრძვიან, ეწირებიან და ბოლოს იმარჯვებენ, თუმცა ბოლო ყოველთვის კეთილი როდია და ამიტომაც სულისშემძვრელია ახალი იერემიას გოდება (მისი ამავე სახელწოდების მოთხრობიდან), მაგრამ უფრო მეტად შემაშფოთებელია ავტორის წინასწარმეტყველება: „თვითონ შენნი დაგკორტნიან, საზარელი სიკვდილი გელის“... გადავდივარ უდაბნოს ბოლოს და უკანასკნელ ლოდზე ამოტვიფრულ წარწერას ვეძებ... „პოლიტიკოსთა უგუნურების მსხვერპლი“, მარმარილოს ცხელი სისხლის ფართო ლაქები აჩნია. იქვე ოთხციფრიანი თარიღია... ბოლო ციფრი უნდა იყოს 4 ან 9 (ე. ი. 1994 ან 1999), ნეტავ ვინ კიდევ?“ სამწუხაროდ, ამ მოთხრობის დაწერიდან 9 წლის შემდეგ, 1994 წელს, ახდა ეს ავბედითი წინასწარმეტყველება.

გიორგი ჭანტურიას მკვლევლობიდან 25 წელი გავიდა, მისი ნაწერების პირველი პუბლიკაციიდან –29! პოლიტიკურმა ქართველებმა გადაიარა, დროა საზოგადოებამ უფრო ახლოს გაიცნოს მწერალი გიორგი ჭანტურია.

Nugesha Gagnidze

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

The Recent History of Georgia in Nino Haratischvili's Novel „My Gentle Twin“

Nino Haratischvili's family saga „My Gentle Twin“ was published in German language in 2011 and captured readers attention at once. The reason for it is that, on the one hand, it tells us about two couples' romantic and at the same time tragic love stories and, on the other hand, the author introduces the social, political and cultural life of the 90-s of the XX century Georgia to German readers.

Due to the amazing love stories of German (Ivo and Stella) and Georgian (Lado and Salome) couples the author shows that people despite their nationality and social status are very much alike when they are in love. The war, devastation and economic hard times ruin their spiritual peace and complicate their relationships.

In the second part of the novel the narrator Stella takes the reader through the various regions of Georgia telling them stories about mixed Abkhazian families, refugees or citizens who fought in the 90-s for money, drugs or just for esteem and fame.

Nino Haratischvili as an eyewitness of the wars and revolutions in Georgia, the collapse of the Soviet system, transition period as well of the building of an independent country and its new political system uses archive materials in order to describe what she saw and felt with maximum accuracy. She definitely felt the pulse of the epoch and became the best presenter of her country in German speaking world.

She is a messenger between the two countries and cultures who is attached to the tradition and at the same time is an innovator, who boldly and frankly tells the truth. In this way the young writer quickly finds the way to her readers hearts and reaches her goal. With the help of her novel „My Gentle Twin“ she answers the questions which most frequently are asked by Europeans. Why has Russia increased her pressure on Georgia since 1986? How did the war break out in Tbilisi? What did hard historical experience bring to Georgia?

ნუგეზა გაგნიძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს უახლესი ისტორია ნინო ხარატიშვილის რომანში „ჩემი საყვარელი ორეული“

ნინო ხარატიშვილის საოჯახო რომანი „ჩემი საყვარელი ორეული“ გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა 2011 წელს და მაშინვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება იმის გამო, რომ მასში, ერთი მხრივ, საინტერესოადაა მოთხრობილი ორი წყვილის რომანტიკული და ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. მეორე მხრივ, კი, ავტორი გერმანულენოვან მკითხველს მე-20 საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-კულტურულ მოვლენების შესახებ უამბობს.

გერმანელი (ივო და სტელა) და ქართველი(ლადო და სალომე) წყვილების უცნაური სიყვარულის ისტორიის მეშვეობით ავტორი გვიჩვენებს, რომ ადამიანებს, მიუხედავად ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობისა, მსგავსად უყვართ. ომი, ნგრევა, მძიმე ეკონომიკური პრობლემები კი სულიერ სიმშვიდეს ურღვევს მათ და ურთიერთობებს ართულებს.

რომანის მეორე ნაწილში მთხრობელი მე, სტელა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაატარებს მკითხველს. გზადაგზა ვიგებთ შერეული ოჯახების შესახებ აფხაზეთში, ლტოლვილებსა და მოქალაქეებზე, „რომლებიც ფულისათვის ან ნარკოტიკებისათვის, ან უბრალოდ პატივისა და დიდებისათვის იბრძოდნენ“ 90-იან წლებში.

ნინო ხარატიშვილი როგორც თვითმხილველი ომებისა და რევოლუციებისა საქართველოში, სოციალისტური სისტემის ნგრევისა და გარდამავალი ეპოქისა, დამოუკიდებელი ქვეყნის აღმშენებლობისა და ახალი სოციალ-პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისა, ეროვნულ არქივში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით მაქსიმალური სიზუსტით აღწერს ნანახისა და განცდილის, გრძნობს ეპოქის მაჯისცემას და თავისი ქვეყნის

საუკეთესო წარმომადგენელია გერმანულენოვან სამყაროში. იგი მოგზაურია ორ ქვეყანასა და კულტურას შორის, ერთგულია ტრადიციისა და ნოვატორია – თამამად და შეულამაზებლად ამბობს სიმართლეს. ამ გზითახალგაზრდა მწერალისწრაფად მიიკვლევს გზას მკითხველთა გულებისაკენ და აღწევს მიზანს: რომანით „ჩემი საყვარელი ორეული“ იგი პასუხს სცემს ევროპელთა მირე ხშირად დასმულ შეკითვებს: რატომ იზრდებოდა რუსეთის ზეწოლა საქართველოზე 1989 წლიდან? როგორ დაიწყო თბილისში ომი? რა მოხდა აფხაზეთში 90-იან წლებში? რა მოუტანა საქართველოს მძიმე ისტორიულმა გამოცდილებამ?

Nino Gagoshashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Religious-Ideological Trend of the „New Reality“

Chaos in the political, social, economic and cultural spheres of the post-soviet period has greatly influenced the existing system of values. Attempts of finding the solution and maintaining of the balance of mind was followed by the process of seeking of the causes that have provoked such conflict between the accustomed and new realities. Hence, the worldview issues emphasized in the religious-ideological literature of the last decade of 20th century mostly serve to explanation of the events that have followed the old system destruction and showed up in the new environment.

In the end of the second millennium, the post-soviet and Georgian literary space was rich with the issues related to the ideological movements and conceptions such as: communism, pan-ecumenism, globalization, Masonry, various movements of infernal character etc. The main substance and aim of these ideologies is presented against the background of disturbance of the laws of interrelations

between the mankind and providential vision explaining historical events and facts by the power of divine providence.

In turn, presentation of the life of mankind in the providential context was naturally linked with the indivisible themes of religious systems – eschatology, in our case – with the Orthodox ones the main teaching of which is based on the Revelation of St. John, Apocalypse; though even the ecclesiastic fathers abstained from interpretation of this this mysterious book and it was even withdrawn from the Books of the New Testament to be read at service (to prevent misunderstanding among the audience), one or another significant event was associated with it in different Interpretations. The same has taken place in the given reality as well, severity of which indeed created the apocalyptic pictures.

Thus, all these religious and ideological issues, with their histories, teachings and literature, entered into Georgian space instantly and frequently in variations lacking proper vision. It should be noted that such trend brought diversity into the literature and art (e.g. brought forward post-apocalyptic as a genre etc.) though this has further strengthened the skepticism and fear of the society facing new reality.

ნინო გაგომაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ახალი რეალობის“ რელიგიურ-იდეოლოგიური ტენდენცია

პოსტსაბჭოთა პერიოდის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ სფეროში გაჩენილმა ქაოსმა უდიდესი გავლენა მოახდინა არსებულ ღირებულებათა სისტემაზე. გამოსავლის პოვნისა და სულიერი წონასწორობის შენარჩუნების მცდელობას მოჰყვა იმ მიზეზების ძიების პროცესიც, რომლებმაც ასეთი კონფლიქტი წარმოშვა ჩვეულ და ახალ რე-

ალობას შორის. აქედან გამომდინარე, მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის რელიგიურ-იდეოლოგიურ ლიტერატურაში წინ წამოწეული მსოფლმხედველობრივი საკითხები უმეტესწილად იმ მოვლენების ახსნას ემსახურება, რომლებიც ძველი სისტემის დანგრევას მოჰყვა და ახალ გარემოში იჩინა თავი.

მეორე ათასწლეულის ბოლო პერიოდის როგორც პოსტსაბჭოთა, ისე ქართული ლიტერატურული სივრცე სავსეა ისეთ იდეოლოგიურ მოძრაობებსა და კონცეფციებთან დაკავშირებული თემატიკით, როგორებიცაა – ეკუმენიზმი, პანეკუმენიზმი, გლობალიზაცია, მასონიზმი, სხვადასხვა ინფერნალური ხასიათის მიმდინარეობები და ა. შ. ამ იდეოლოგიათა მთავარი არსი და მიზანი წარმოჩენილია კაცობრიობისა და ღმერთის ურთიერთმიმართებში არსებული კანონზომიერების დარღვევისა და პროვიდენციალური ხედვის ფონზე, რომელიც ისტორიული მოვლენებსა და ფაქტებს უფლის განგების ძალით ხსნის.

თავის მხრივ, კაცობრიობის ცხოვრების პროვიდენცი-ალურ ჭრილში წარმოჩენა ბუნებრივად დაუკავშირდა რელიგიურ სისტემათა განუყოფელ თემატიკას – ესქატოლოგიას, ჩვენს შემთხვევაში – მართლმადიდებლურს, რომლის უმთავრესი სწავლება ახალ აღთქმისეულ წიგნს – „იოანეს გამოცხადებას“, იმავე „აპოკალიფსს“ ეყრდნობა; მიუხედავად იმისა, რომ ამ საიდუმლოებით მოცული წიგნის განმარტებას თვით ეკლესიის მამებიც ერიდებოდნენ და იგი ღვთისმსახურებისას ახალი აღთქმის საკითხავი წიგნებიდანაც კი ამოიღეს (მსმენელთა ფანტაზიას ცდომილება რომ არ გამოეწვია), ამა თუ იმ საბედისწერო მოვლენას მასთან ყოველთვის სხვადასხვა ინტერპრეტაციით აკავშირებდნენ. იგივე ხდებოდა მოცემულ რეალობაშიც, რომლის სიმძიმე ნამდვილად ქმნიდა აპოკალიფსურ სურათებს.

ამდენად, ყველა ეს რელიგიური თუ იდეოლოგიური საკითხი, თავისი ისტორიით, სწავლებებითა თუ ლიტერატურით, ქართულ სივრცეში შემოდის ერთბაშად და ხშირად სწორ ხედვას მოკლებული ვარიაციებით. აღსანიშნავია, რომ ამგვარმა

ტენდენციამ მრავალფეროვნება შეიტანა ლიტერატურასა და ხელოვნებაში (მაგ. წინ წამოიწია პოსტაპოკალიპტიკა, როგორც ქვეყნარი და ა. შ.), თუმცა კიდევ უფრო გამამაფრა ახალი რეალობისწინა შემდგარი საზოგადოების სკეპტიციზმი და შიში.

Ketevan Gardapkhadze

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Botho Straus's Ithaca and United Germany

Having restored historical justice, the unification of Germany nevertheless brought new challenges to the country. The new reality and the sociopolitical changes had an influence on art and especially literature. Reception and re-interpretation of ancient literary and mythical archetypes acquired particular relevance. I will consider Botho Straus' Ithaca from this very perspective – in order to reveal the principles of the reception of mythology and sociopolitical allusions.

A particular emphasis is laid on mythological symbols, especially those related to Penelope's suitors, who are alien to Ithaca, annoy Penelope and nearly devastate Odysseus' palace. The author frequently refers to them as strangers (*fremde*), thus alluding to migrants from East Germany and Eastern Europe, who brought new troubles into the country.

Readers may interpret the assembly of Penelope's suitors as an allegory of Bundestag: verbosity and inactivity are typical features of political parties of all times.

Penelope, a universal symbol of faithfulness and spiritual beauty, who appears beautiful in all paintings despite her supposed age (e.g. a painting by Leonardo Bassano), is portrayed by Straus as obese and uncomely, which critics interpret as a metaphor of the relationship between the state and art.

Odysseus is presented as a savior, the restorer of the state order and a powerful politician who is to rescue Germany from the terrible chaos.

I will analyze the play characters and their mythological prototypes focusing on the reasons beyond the symbolic transformations, which sometimes cause the play characters to appear radically different from their mythical prototypes.

ქეთევან გარდაფხაძე

თბილისი, საქართველო

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბოთო შტრაუსის ითაკა და გაერთიანებული გერმანია

გერმანიის გაერთიანებით, ერთი მხრივ, აღდგა ისტორიული სამართლიანობა, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყანა ახალი გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დადგა. გერმანიაში არსებულმა ახალმა რეალობამ და მასთან დაკავშირებულმა სოციალ-პოლიტიკურმა ძვრებმა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ხელოვნებაზე, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურაზე მოახდინა გავლენა. აქტუალური გახდა ანტიკური სიუჟეტებისა თუ მითოლოგიური ქსოვილის რეციპირება და ახლებური გააზრება. მოხსენებაში სწორედ ამ კუთხით არის განხილული ბოთო შტრაუსის დრამა „ითაკა“, მითოლოგიური მასალის რეციპირების პრინციპები და ანტიკურ სახე-სიმბოლოთა სოც-პოლიტიკური ანალოგები.

ინტერესს იწვევს მითოლოგიურ გმირთა სახის გადააზრება, განსაკუთრებით ეს პენელოპეს საქმროების შესახებ ითქმის, რომლებიც უცხონი არიან ითაკისთვის, აწუხებენ პენელოპეს და ანადგურებენ მეფე ოდისევსის სასახლეს. ავტორი მათ ძალიან ხშირად სწორედ უცხოდ მოიხსენიებს (fremde) და მათ ქვეშ აღმოსავლეთ გერმანიიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან გადმოსახლებულ ადამიანებს გულისხმობს, რომლებმაც ახალი საზრუნავი გაუჩინეს ქვეყანას.

თანამედროვე გერმანიის უმღლესი საკანონმდებლო ორგანო ბუნდესთაგის სახე შეიძლება ამოიცნოს მკითხველმა პენელოპეს საქმროთა კრებაში – სიტყვამრავლობა და უმოქმედობა – ყველა ეპოქის და ყველა პოლიტიკური პარტიის საერთო მახასიათებელი.

პენელოპე, საყოველთაო სიმბოლო ერთგულებისა და სულიერი მშვენიერების, რომელიც ფერწერულ ტილოებზე ყველგან ფიზიკურადაც მშვენიერია, მიუხედავად მომატებული წლებისა (მაგ., გავიხსენოთ ლეონარდო ბასანოს ნახატი), ბოთო შტრაუსის დრამაში სრულიად განსხვავებული სახით წარუდგება მკითხველს – არაბუნებრივად გასუქებული, დამახინჯებული, რომელსაც კრიტიკოსები კულტურის და სახელმწიფოს ურთიერთობის მეტაფორად განიხილავენ.

ოდისეოსის სახით ავტორი მხსნელს, სახელმწიფო წესრიგის აღმდგენს წარუდგენს მკითხველს, ძლიერ პოლიტიკოსს, რომელმაც საშინელი ქაოსიდან უნდა იხსნას გერმანია.

მოხსენებაში მოცემულია ტრადიციული მითოლოგიური სახეების (მთავარი და მეორეხარისხოვანი გმირები) თუ სიუჟეტის ანალიზი და განხილულია მიზეზები, რომელთა გამოც მითოლოგიურმა სახე-სიმბოლოებმა შეიცვალა მხატვრული დატვირთვა და ზოგჯერ რადიკალურადაც დამორდაპირვანდელ სახეს.

Levan Gelashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Ekphasis and the Photographic-Binocular Narrative Peculiarities in Niko Lortkipanidze's Miniatures

In the article have been studied by Niko Lortkipanidze's miniature Binocular narrative. The study of Niko Lortkipanidze's work allowed me to see several layers of writer's interaction with

painting: 1. The writer names the famous artist's paintings in the title („Gioconda“), in the epigraph („tears of the mute“) or in the text („casting spell with the radio“) to create a reader's spiritual mood. 2. The author does not name the artist but cites any famous paintings („Dawn“, „Strange love“, „Artists' Coffeehouse“, „Vita nova“, „Spiritual attitudes“). Writing skills are applied to parallel emotions and feelings of the drawing. The resemblance between the text and the picture is so clear that the writer sets the literary boundaries and paintings in the general modernist textual boundaries and thus creates a pictorial piece of testing. The description of the writer may not be a powerful ekphrasis – a narrative meant for a watching audience, but the spectrum of experiences in it take the beginning from the pictorial specimens. The motifs in the painting that found reflection in the artistic text. The writer does not name or cite any of the paintings, but with the verbal art renders the painting of the text. The literary context is saturated with Impressionist colors. The author may need pictorial atmosphere to create an impressionist sentiment.

The word processing produced at the fretwork level may cause the association with any of the paintings. Such association and similarity are the reader's experience as well. The codes outside the text are based on the social environment, the cultural contents of information globalization and the increased influence of visual signs.

ლევან გელაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ეკფრასისი და ფოტოგრაფიულ-ბინოკულარული თხრობის თავისებურებები ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურებში

სტატიაში შესწავლილია ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურების ბინოკულარული ნარატივი. ჩემ მიერ ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების შესწავლამ, ცხადყო მწერლის ფერწე-

რისადმი მიმართების რამდენიმე შრე: 1. მწერალი ასახელებს ცნობილი მხატვრის ტილოებს სათაურში („ჯიოკონდა“), ეპიგრაფში („უტყვთა ცრემლები,“) ან ტექსტში („შელოცვა რადიოთი“) დაკონკრეტული მიზნის მისაღწევად ახდენს მკითხველის სულიერი განწყობილების შექმნას. 2. ავტორი არ ასახელებს მხატვარს, მაგრამ ციტირებს, რომელიმე ცნობილ ფერწერულ ტილოს („რიჟრაჟი“, „უცნაური სიყვარული“, „ხელოვანთა ყავახანა“, „vita nova“ „სულიერი განწყობილებანი“). მწერლურ ოსტატობას მიმართავს ნახატის პარალელურ ემოციათა და განცდათა ფიქსაციისკენ. ტექსტსა და ნახატს შორის მსგავსება იმდენად მკაფიოა, რომ მწერალი თითქოს არღვევს ლიტერატურულ საზღვრებს და ფერწერულ ტილოებს საერთო მოდერნისტულ ტექსტუალურ საზღვრებში აქცევს და ამით ავტორი ფერწერული ტილოს ტექსტის ქმნადობას ქმნის. მწერლის აღწერა შეიძლება არ იყოს ძლიერი ეკვრასისის ფაზა – მაცქერალ მაყურებელზე გათვლილი ნარატივი, მაგრამ მასში წარმოჩენილი განცდათა სპექტრი, სწორედ ფერწერული ნიმუშებიდან იღებდეს სათავეს. ფერწერაში იყოს ის მოტივები, რომლებმაც მხატვრულ ტექსტში ჰპოვეს ასახვა. მწერალი არ ასახელებს, არც ციტირებს, რომელიმე ფერწერულ ტილოს, მაგრამ სიტყვიერი ხელოვნებით აღწევს ტექსტის ფერწერულ გამომსახველობას. ლიტერატურული კონტექსტი გაჯერებულია იმპრესიონისტული ფერების რიგით. ფერწერული ატმოსფერო ავტორს შეიძლება სჭირდებოდეს იმპრესიონისტული განწყობის შესაქმნელად. ჩუქურთმის დონეზე დამუშავებული სიტყვისქმნადობა იწვევდეს ასოციაციას რომელიმე ფერწერულ ტილოსთან. ამგვარი ასოციაცია და მსგავსება მკითხველის გამოცდილებაც არის. ტექსტს გარეთ არსებული კოდები, სოციალური გარემოთი, ინფორმაციული გლობალიზაციის კულტურული კონტექსტით და ვიზუალური ნიშნების გაზრდილი გავლენით იყოს განპირობებული.

Tamta Ghonghadze

Georgia, Tbilisi

TSU, PhD Student

Some Aspects of Interpretation of „Aluda Ketelauro“ in Givi Margvelashvili’s Postmodern Novel – „Mutsali“

Vazha Pshavela’s name is among the most distinct in the history of Georgian literature, his oeuvre has been studied again and again, though the thematic diversity and multi-layered nature of his literary works remain the subject to constant re-interpretation and debate. One of such texts is his poem „Aluda Ketelauro“. Over time, however, the approach, the style and the format of its analysis changes, and now in the era of postmodernism this tendency is particularly visible. Postmodernist authors offer novel, contemporary interpretations of the well-known events, texts, characters, and real stories. Dual coding, allusions and odd interpretation attract interest not just toward their texts but also to the underlying substance that they are relying on. Givi Margvelashvili is using Vazha Pshavela’s „Aluda Ketelauro“ as exactly such a source in his novel „Mutsali“. Here the author offers us a modern novel in which one is able to identify not just philosophical but as well – social, political, and autobiographical layers.

In present work I discuss the mutual relationship between the poem „Aluda Ketelauro“ and the novel „Mutsali“: how various visual images, characters, or entire story lines of the the Givi Margvelashvili’s novel undergo transformations; What kind of conceptual load would the author attach to Aluda’s dream? How he creates the opposing spaces – those of the Kist and Khevsur traditional cultures, – and what conceptual constructs does he instil therein? And finally, how does the postmodernist writer transplant the protagonists into the modern world?

თამთა ღონღაძე

საქართველო, თბილისი

თსუ, დოქტორანტი

„აღუდა ქეთელაურის“ გააზრების ზოგიერთი ასპექტი გივი მარგველაშვილის პოსტმოდერნისტულ რომანში – „მუცალი“

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი განსაკუთრებული სახელია ვაჟა-ფშაველა, რომლის შემოქმედებაც არაერთგზის არის შესწავლილი, თუმცა ლიტერატურული ნიმუშების თემატური მრავალფეროვნება და მრავალშრიანობა მუდმივი ინტერპრეტაციისა და განხილვის საგანია. ასეთი ტექსტია პოემა «აღუდა ქეთელაური». დროთა განმავლობაში იცვლება საკითხებისადმი მიდგომა, სტილი და ფორმა, პოსტმოდერნიზმში კი ეს ტენდენცია განსაკუთრებულად არის გამოკვეთილი. პოსტმოდერნისტი ავტორები უკვე კარგად ცნობილი მოვლენების, ტექსტების, პერსონაჟებისა თუ რეალური ისტორიების ახლებურ, თანამედროვე გააზრებას გვთავაზობენ. ორმაგი კოდირება, ალუზიებისა და ინტერპრეტაციის უჩვეულობა სძენს ინტერესს როგორც მათ ტექსტებს, ისე იმ მასალას, რომელსაც ისინი ეყრდნობიან. გივი მარგველაშვილი რომანში „მუცალი“, ასეთ წყაროდ სწორედ ვაჟა-ფშაველას „აღუდა ქეთელაურს“ იყენებს. ავტორი გვთავაზობს თანამედროვე რომანს რომელშიც შეგვიძლია გამოვყოთ როგორც ფილოსოფიური, ისე სოციალური, პილიტიკური თუ ავტობიოგრაფიულ შრეები.

მოცემულ ნაშრომში განვიხილავ პოემა „აღუდა ქეთელაურისა“ და რომან „მუცალის“ ურთიერთმიმართებას: როგორ ტრანსფორმირდება პოემის სხვადასხვა სურათ-ხატები, პერსონაჟები, ასევე მთლიანი სიუჟეტური მონაკვეთები გივი მარგველაშვილის რომანში; როგორ იდეურ დატვირთვას სძენს ავტორი აღუდას სიზმარს; როგორ ქმნის ოპოზიციურ სივრცეებს – ქისტური და ხევსურული კულტურები, და რა კონცეპტებს დებს მათში; ასევე, როგორ გადმოჰყავს პოსტმოდერნისტ მწერალს გმირები თანამედროვე სამყაროში.

Mariam Giorgashvili

Georgia, Tbilisi

TSU, PhD Student

**The Search For New Identity On The Pages of
Magazine „Pioneri“
(„Nakaduli“)**

1980s and 1990s are complex but, at the same time, interesting period in the history of our country. Periodicals – chronicles of that period, by following every step of the way of social cultural life are by far the most significant in portrayal of of these times.

Purpose of this report is to analyze one of the most significant periodicals for children in the late 1980s and early 1990s – „Pioneri“ („Nakaduli“ since 1990). The pages of these periodicals illustrate the quest of young generation for the new national and cultural identity.

Along with the fiction, the magazine contained the interviews and analytical articles evaluating the contemporary events. The opinions of the outstanding public figures about the role of the Youth in the national movement, the painful process of re-valuation of the beliefs, as well as, eternal topic – the conflict between generations are clearly expressed either very cautious and or quite daring way. Politically biased Komsomol (Communist Young League) started to fail and the alternative youth groups with diverse goals and interests emerged; the question of transformation of the schools and replacement of the ideologically biased textbooks were brought up.

In response to the interests of young people the magazine added the rubric Conversations About Religion with focus on the history of Georgian Orthodox Church. This fact proves the significance of the latter in formation of new identity. Letters, poems and paintings sent to the Magazine, in which there was significant emphasis on national themes, deserve special observation.

Involvement of the young generations into the social processes raised hopes, but owing the fact of the past hardships and the difficult

heritage of the country the crisis is inevitable. There are numerous obstacles though the way when searching for new identity, the process of overcoming them continues even until today.

მარიამ გიორგაშვილი

საქართველო, თბილისი

თსუ, დოქტორანტი

ახალი იდენტობის ძიება ჟურნალ „პიონერის“ („ნაკადულის“) ფურცლებზე

XX საუკუნის 80-90-იანი წლები რთული და საინტერესო ისტორიული მონაკვეთია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. არაფერი ასახავს ეპოქის პერიპეტეებს ისე კარგად, როგორც პერიოდული გამოცემები – ქრონიკა, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება სოციალურ და კულტურულ ცხოვრებას. მოხსენების მიზანია, გააანალიზოს 80-იანი წლების მიწურულისა და 90-იანი წლების დასაწყისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბავშვო პერიოდული გამოცემა „პიონერი“ (1990 წლიდან – „ნაკადული“), რომლის ფურცლები ნათელი დასტურია იმისა, თუ როგორ ეძებს ახალი თაობა ახალ ნაციონალურ და კულტურულ იდენტობას. ჟურნალის ფურცლებზე მხატვრული ნაწარმოებების გვერდით გვხვდება ინტერვიუები და ანალიტიკური სტატიები, რომლებიც თანამედროვე მოვლენებს აფასებს. თვალსაჩინოა საზოგადო მოღვაწეთა ზოგჯერ ფრთხილი და ზოგჯერ თამამი შეფასებები ახალგაზრდების როლის შესახებ ეროვნულ მოძრაობაში, ღირებულებათა გადაფასების მტკიცებელი პროცესი და თაობათა კონფლიქტის მარადიული თემა; პოლიტიკურ-საზოგადოებრივი კომკავშირი კარგავს ფუნქციას და მის ნაცვლად იქმნება ალტერნატიული ახალგაზრდული დაჯგუფებები, რომელთაც მრავალფეროვანი მიზნები და ინტერესები აქვს; დგება სკოლების გარდაქმნისა და იდეოლოგიზებული სახელმძღვანელოების შეცვლის საკითხი. ახალგაზრდების ინტერესების კვალდაკვალ ჟურნალს ემატება რუბრიკა „საუბრები რე-90

ლიგიებზე“, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ უკანასკნელის მნიშვნელოვან როლს ახალი იდენტობის ფორმირებაში. ცალკე დაკვირვების ღირსია ჟურნალის რედაქციაში შემოსული წერილები, ლექსები თუ ნახატები, რომლებშიც აქტიურდება ეროვნული თემატიკა. მომავალი თაობის სოციალურ პროცესებში ჩართულობა იმედისმომცემია, თუმცა, მძიმე მემკვიდრეობის გათვალისწინებით, კრიზისი გარდაუვალია. ახალი იდენტობის ძიების გზაზე უამრავი დაბრკოლებაა, რომელთა გადალახვის პროცესი დღემდე გრძელდება.

Nana Gonjilashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Nestan Sulava

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

About understanding of Post Modernist of Saint Mariam Magdalineli in XX-XXI Century's Literature

There were different attitude to the Saint Mariam Magdalineli's person in Orthodox and Catholic Church for a long time. Orthodox Church considered her as an equal person of mediator mothers and there is the same attitude in nowadays. Catholic Church from 591 years till 1969 considered her as a lady with sin and having great regret for this.

Regarding the evangelic stories Saint Mariam was heal from the seven devils (L. 8,2; Mr. 16,9), after this she followed the Christ everywhere (Mr. 15,40; L. 8,3), she was with the Christ on the way to the Calvary and she saw his crucifixion by her eyes (M. 27,56 and

others). She attend the burying the body of the Christ (M. 27,61 and others) and on the third day of crucifixion on the day of Easter Saint Mariam Magdalineli was with the oil cream and incense to the cemetery of the Christ (M. 28,1; Mr. 16,1-8). She was the first who saw the resurrection of the Christ, she was the first who believed in the miracle of the Easter (I. 20,11-18).

From the V century to the story of Saint Mariam Magdalineli was added some episodes about the lady regret her sin, as it is given in the life of Mariam Megvipteli and for this reason the two stories about the ladies were mixed and gave the plot to the story regarding prostitute Mariam. This idea was established in the medieval Renaissance West and next period art (literature, art).

On the base of West literature and art in the Georgian modern literature (XX-XXI c) there are opposite ideas about the Saint Mariam Magdalineli's life. As in traditional ways some authors consider her as equal of mediators, but some others shared the ideas coming from the Catholic Church. It is a little bit interesting thing from the point of view of Georgian orthodox church which was following the traditions of world orthodox church and its rules.

My point of view is that, this understanding comes from the reason that there is the devaluation of the values in modern society. Establishing the course of post modernism was one of the main points. In our article we are talking about these tasks. We discuss what kind of ideas were given by our modern writers in their stories about saint Mariam Magdalineli.

ნანა გონჯილაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნესტან სულავა

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წმ. მარიამ მაგდალინელის პოსტმოდერნული გააზრებისათვის XX– XXI საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში

წმ. მარიამ მაგდალინელის პიროვნების მიმართ მართლმადიდებლურმა და კათოლიკურმა ეკლესიებმა დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება გამოამჟღავნა, კერძოდ, მართლმადიდებლობა მას ყოველთვის მოციქულთა სწორ წმინდა მენელსაცხებლუე დედად აღიარებდა და აღიარებს; კათოლიკური სამყარო 591 წლიდან მოყოლებული 1969 წლამდე მას მრუმე, მონანე დედაკაცად მიიჩნევდა.

ევანგელური მონათხრობით, წმ. მარიამ მაგდალინელი უფალმა განკურნა შვიდი ეშმაკისგან (ლ. 8, 2; მრ. 16, 9), რის შემდეგაც იგი ყველგან თან ახლდა მაცხოვარს (მრ. 15, 40; ლ. 8, 3), ქრისტესთან ერთად გაიარა გოლგოთის გზა და ჯვარცმაც საკუთარი თვალით იხილა (მ. 27, 56 და სხვ.); ქრისტეს დაფლვასაც ესწრებოდა (მ. 27, 61 და სხვ.) და ჯვარცმიდან მესამე დღეს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს მის აკლდამასთან ნელსაცხებლებითა და საკმევლით მივიდა (მ. 28, 1; მრ. 16, 1-8). მან პირველმა იხილა აღმდგარი მაცხოვარი, პირველმა ირწმუნა და პირველმა აუწყა ქრისტეს მოწაფეებს მაცხოვრის სასწაულებრივი აღდგომა (ი. 20, 11-18).

V საუკუნიდან წმ. მარიამ მაგდალინელის ცხოვრებას დაემატა ზოგიერთი ეპიზოდი მონანე ცოდვილის, წმ. მარიამ მეგვიპტელის ცხოვრებიდან, რის გამოც ამ ორი წმინდანის სახე ერთმანეთში იქნა აღრეული და წმ. მარიამ მაგდალინე-

ლის მეძავ ქალად წარმოდგენას გაუმყარა საფუძველი. ამგვარი ინტერპრეტაცია დასავლეთში აღორძინების ხანისა და მომდევნო პერიოდის ხელოვნებაში (ლიტერატურა, მხატვრობა) დამკვიდრდა.

დასავლური ლიტერატურისა და მხატვრობის გავლენით, რაც დასავლეთთან ბოლოდროინდელმა ინტენსიურმა ურთიერთობებმა განაპირობა, თანამედროვე ქართულ მწერლობაში, ქართულ ცნობიერებაში (XX-XXI სს.), ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები გამოვლინდა: შემოქმედთა ნაწილმა იგი ტრადიციულად, მოციქულთა სწორად აღიქვა, ხოლო ნაწილმა კათოლიკური ტრადიცია გაიზიარა და მრუმ, მონანიე დედაკაცად მიიჩნია. ეს ფაქტი მით უფრო საკვირველია, რადგან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართული ქრისტიანული კულტურა ამ საკითხში ოდითგანვე მიჰყვებოდა და მიჰყვება მართლმადიდებლური ეკლესიის წეს-კანონებსა და ტრადიციებს.

ჩვენი აზრით, ამგვარი გააზრება და მცდარი ინტერპრეტაციის გამეორება-დამკვიდრება ღირებულებათა გადაფასების ნიმუშია, რასაც ხელი პოსტმოდერნიზმის ჩვენში დამკვიდრებამაც შეუწყო. ჩვენს მოხსენებაში საუბარი გვაქვს სწორედ იმ საკითხთა შესახებ, თუ როგორი ინტერპრეტაციები შემოგვთავაზეს ქართველმა მწერლებმა თავიანთ შემოქმედებაში წმ. მარიამ მაგდალინელის სახის შესახებ.

Konrad Gunesch

United Arab Emirates, Dubai

American University in the Emirates

Literary and Multicultural Discourses of Slowness in the 1980s and 1990s, Substantiated in the Travel Form of Slow Tourism, and Serving the Political Part of Planetary sustainability Via the Triple Bottom Line in its Social, Economic and Environmental Dimensions

This research combines literary discourses, political philosophies and practical directions in the three fields of literature and lifestyle, travel and tourism, and global business and company management.

The 1980s literary and lifestyle movement of „slowness“ is investigated as a literary expression of the cultural climate of the 1980s and 1990s, and as the sociopolitical background of the contemporaneous travel form of „slow tourism“. Slow tourism is represented by academic tourism literature focusing on the groups of youth, student and religious travelers, and compared to current trends in the „fast“ travel industry, such as airline and business travel.

In parallel, the 1980s and 1990s political, social and environmental notion of „sustainability“ is described from literary sources and political documents such as United Nations declarations and summits, and substantiated within the travel and tourism world by the contemporaneous business philosophy and practice called the „triple bottom line“, with sources taken from business and tourism-specific literature.

A conceptual contribution is the link of sustainability to slowness, slow tourism and the triple bottom line. As a resulting practical contribution, global tourism companies and travelers can now benefit, in their choice of travel offers and modes, from the link between literary productions, lifestyle philosophies, industry practices and political preferences.

Methodologically, a transdisciplinary, comparative approach allows the established close links between the concepts of slowness, tourism, sustainability and business to reach from the last two decades of the twentieth century into the present time, and shape their political and literary discourses in the twenty-first century.

Viktoriia Ivanenko

Ukraine, Kyiv

Kyiv National Linguistic University

**Devolutionary Turn In Scotland: From Politically Informed
Writing to the „New Humanist“ Text**

1980-1990s in Scotland is the time of devolution. In 1997 the Scottish Parliament was restored at the referendum proclaiming home rule and disenfranchisement from Anglo-British homogeneity. Scottish self-representation has finally found its political embodiment since starting from the 1980s it was mostly literature that had to fulfill this function. As Liam McIlvanney has observed in between the referenda of 1979 and 1997 „without waiting for politicians, Scottish novelists had written themselves out of despair“. Devolutionary Scottish writing of the '80s was mostly politically informed and was read and interpreted in the framework of presenting some „case for Scotland“. However, in the '90s the situation changed. It could best be described by Christopher Whyte's query whether after devolution it might be possible to relieve Scottish writing of its national representation and „at last allow it to be literature first and foremost“.

At the beginning of the '90s, there arrives a new generation of Scottish writers who get interested rather in the experience of the singularity of personal intercommunication, human traumatism, and the delusion of momentary humanist truth rather than in the ideas of nationhood. Janice Galloway, Irvine Welsh, A.L. Kennedy and others urge the „new humanist“ turn in Scottish writing with the restless experimental spirit that has always been part of Scottish literary tradition.

Maia Jaliashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Breaking of the Closed System
(According to Otar Chiladze Novel „The Basket“)

The Soviet system For Otar Chiladze was a kind of closed system that suppressed a freedom and prevented the country or persons from rights and developing. The writer in his novels, through subtext, with metaphorical, mythological paradigms, expressed the desire of the Georgian people towards independence. In the novel „Basket“ it was well demonstrated the real demonic pseudo democratic face of the Soviet regime, which was trying to create new types of people, the monsters, homo sovieticus, and the same kind of homunculuses. The central theme of novel „Basket“ is the motive of „murder of father“ as murder of certain epoch. The destruction of the system, which was the phenomenon of stopping time, denying God and humanity, understood as the end of captivity, as a historical regularity.

The writer expresses the spirit of the epoch in the horizontal and vertical depths of time. The main focus is taken over the last decade of the 20th century. The novel tells us about the enslaved Georgian nation, his physical and most importantly spiritual captivity. On the example of one family, the Kasehlis, he paints the process of birth, the rise, growth and development of the totalitarian regime. The writer creates locked, closed space models that represent the system's anti-humorous nature. The locked space, symbolized by the basket, denies freedom and belief, without which the person resembles the monster that is beyond the identity. There are also other closed spaces in the novel, which is breaking by new generation. This is an optimistic final.

მაია ჯალაიაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ჩაკეტილი სისტემის რღვევა (ოთარ ჭილაძის რომან „გოდორის“ მიხედვით)

ოთარ ჭილაძისთვის საბჭოთა სისტემა იყო ერთგვარი ჩაკეტილი სისტემა, რომელიც თრგუნავდა თავისუფლებას და ერსა თუ პიროვნებას ხელს უშლიდა განვითარებაში. მწერალი თავის რომანებში ქვეტექსტურად, მეტაფორულად, მითოლოგიური პარადიგმებით გამოხატავდა ქართველი ხალხის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. რომან „გოდორში“ კარგად წარმოჩნდა დემონური საბჭოთა რეჟიმის სახე, რომელიც ცდილობდა ახალი ტიპის ადამიანების, ურჩხულების, ჰომო სოვეტიკუსების, იმავე ჰომუნკულუსების, შექმნას. რომან „გოდორის“ ცენტრალური თემა „მამისმკვლელობაა“, მამისა, როგორც გარკვეული ეპოქისა. რომანში დროის შემაფერხებელი ფენომენის, ღვთისა და ადამიანობის უარყოფელი სისტემის განადგურება გაიაზრება, როგორც კაშელობის დასასრული, როგორც ისტორიული კანონზომიერება.

ეპოქის მაჯისცემას მწერალი დროის ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურ ჭრილებში გამოხატავს. უმთავრესი აქცენტი გადატანილია XX საუკუნის ბოლო ათწლეულზე. რომანი მოგვითხრობს დამონებულ ქართველ ერზე, მის ფიზიკურსა და უმთავრესად სულიერ ტყვეობაზე. ერთი გვარის, კაშელების აღზევების მაგალითზე ის ხატავს ტოტალიტარული რეჟიმის ჩასახვის, აღმოცენების, ზრდისა და განვითარების პროცესს. მწერალი ქმნის ჩაკეტილი, დახშული სივრცის მოდელებს, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან სისტემის ანტიჰუმანურ ბუნებაზე. ჩაკეტილი სივრცე, სიმბოლურად, გოდორი, გამორიცხავს თავისუფლებასა და რწმენას, რომელთა გარეშე ადამიანი იდენტობის მიღმა დარჩენილ ურჩხულს ემსგავსება.

რომანში სხვა დახშული სივრცეებიც გვხვდება, რომელთა გარღვევასაც ლამობს ახალი თაობა, ელიზბარისა და რაჟდენის შთამომავლები. მწერალი ამ ორ ოჯახს დაანათესავებს, რათა სრულყოფილად წარმოაჩინოს ერის ღირსება-ნაკლოვანება. რაჟდენის, რომელიც ხელისუფლებას სახეა, წინაპარი გოდორში გაიზარდა, ობოლი დამიუსაფარი, რომელმაც გოდრიდან დაინახა და შეისისხლხორცა დედის გარყვნილება და მამის დამცირება, ჩამოყალიბდა ყაჩაღად და სწორედ მისი შთამომავალი მოევლინა საქართველოს 1921 წელს „პატივისამხდელად“. შემდეგ უკვე ბუნებრივად გაჩნდა ჩეკისტი ანტონი, შემდეგ რაჟდენი. მწერალს „გოდრის“ მეოთხე თაობა, ანტონი აინტერესებს, რომელიც გაიზარებს, რომ მთელი სიცოცხლე საბჭოური ყოფის ციხეში ცხოვრობდა. ეს ციხეა მისი ოჯახი, სამშობლო და გადაწყვეტს გაქცევას. იგი აფხაზეთის ომში იღუპება, მაგრამ რომანის ბოლოს მისი შვილი დაიბადება. ე. ი. სიმბოლურად, საქართველო თავს აღწევს გოდრის თაობას. ეს ოპტიმისტური დასასრულია.

Mzia Jamagidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Irony as a Way of Reflection on the Soviet/Colonial Reality in the Novel „My Uncle Iona“ by Jemal Karchkhadze

In Georgian literary critics it is taken for granted that resistance discourses against Soviet Regime have emerged since beginning of the 60s of XX century. Resistant attitudes Contained in the literary texts initially were represented by means of indirect codes and images; later on those feelings grew into broad resistance discourse and created national narrative culture. „My Uncle Iona“ by Jemal Karchkhadze was written the very period, in the 80s of XX century. The text is shaping the resistance discourse against Soviet reality by narrating with certain irony about Soviet social life.

According to Postcolonial theory Irony as the feature image performs special function in the colonial/postcolonial context. In this case, the focus is on its potential to reflect the reality in the most appropriate way on the one hand and to create special conspiracy relationships between the text and the reader on the other. Irony can attach exorbitant meaning to the socio-cultural reality reflected by itself both linguistically and through the cultural codes (Fenwick 2006).

The goal of this paper is to discuss how Soviet/colonial reality shapes identities of those society members who do not identify themselves with that community. The questions are whether marginalization from the reality leads to the exoticized identity; what is the context and purpose of using irony by the author; which aspects of the reality are focused on by the text and how the author triggers the readers to reflect on certain aspects of the political and social life by ironic representation of the reality.

მზია ჯამაგიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ირონია, როგორც საბჭოთა/კოლონიური სინამდვილის გაცნობიერების გზა ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „ბიძაჩემი იონა“

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში საყოველთაოდ გაზიარებულია მოსაზრება, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ მწერლობაში უკვე იგრძნობა საბჭოთა სინამდვილის მიმართ რეზისტენტული განწყობების გაჩენა, რაც ლიტერატურულ ტექსტებში თავიდან შეფარულად, გარკვეული კოდებითა და სიმბოლოებით იყო წარმოჩენილი, მოგვიანებით კი 80-იანი წლებიდან უკვე გადაიზარდა ფართო რეზისტენტულ დისკურსში და ნაციონალური ნარატივის კულტურა შექმნა (წიფურია 2016). ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა

„ბიძაჩემი იონა“ სწორედ ამ პერიოდში გასული საუკუნის 80-იან წლებში შექმნილი, საბჭოთა სინამდვილისადმი რეზისტენტული დისკურსის მაფორმირებელი ტექსტია, რომელიც ერთგვარი ირონიით გვიყვება საბჭოთა სოციალური სინამდვილის შესახებ.

პოსტკოლონიურ თეორიაში აღნიშნავენ ირონიის, როგორც მხატვრული ხერხის, განსაკუთრებულ ფუნქციას კოლონიური/პოსტკოლონიური კონტექსტისთვის. ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ირონიის, როგორც მხატვრული ხერხის პოტენციალზე, ერთი მხრივ, ყველაზე ადეკვატურად ასახოს გარე სინამდვილე და მეორე მხრივ, დაამყაროს განსაკუთრებული, ერთგვარად კონსპირაციული მიმართება ტექსტსა და ტექსტის მკითხველს შორის. ირონიას შესაძლებლობა აქვს შექმნას ჭარბი, მეტი მნიშვნელობა იმ სოციოკულტურული რეალობისა, რომელსაც ასახავს ტექსტი არა მხოლოდ კულტურული კოდებით, არამედ ლინგვისტურადაც (Fenwick 2006). ჩვენი მოხსენების მიზანია, ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობის „ბიძაჩემი იონას“ მიხედვით ვიმსჯელოთ, კოლონიური/საბჭოთა სინამდვილე რამდენად განაპირობებს საზოგადოების იმ წევრების იდენტობას, ვისაც ამ სოციო/პოლიტიკურ სინამდვილესთან კუთვნილების განცდა არ აქვს; იწვევს თუ არა არსებული რეალობიდან მარგინალიზაცია იდენტობის ეგზოტიზირებას, რა კონტექსტში და მიზანდასახულებით მიმართავს მწერალი ირონიას, არსებული პოლიტიკური და სოციალური სინამდვილის რომელ მხარეებს აქცევს ირონიული ასახვის ობიექტებად და რეალობის ირონიული ფორმით რეპრეზენტაციითრისი გაცნობიერებისკენ უბიძგებს პოტენციურ მკითხველს.

Elene Javelidze

Georgia, Tbilisi

Sokumi State University

**The East-West dichotomy in the novel
„My Name is Red“ by Orhan Pamuk**

Orhan Pamuk deconstructs the East-West dichotomy in his novel *My Name is Red*. In the novel, where a thriller and a love story are mixed with an artistic discussion and controversy of the 16th century's oriental miniature and the Western renaissance painting. In his nonlinear approach to history, Pamuk unfolds paradigm of the narrative amidst the global moments that anticipate and prefigure the modern era. The narrative moves between two continents in time and space, from Ottoman Empire to Venice, mixing history and fiction. This kind of transgression, a common feature of postmodern fiction, creates fragmentation and ruptures in plot of the novel. It also justifies the postmodernist claim of inaccessibility to the representation of reality through narrative and interpretations. The implicit discourse of the novel – the medieval allegory, the signs, the visual codes, the postmodern concepts which the Turkish novelist resorts to in *My Name is Red* – are means of discrediting some current hegemonic discourses associated with globalization. He warns us: „In my novels I try to say: all generalizations about East and West are generalizations. Don't believe them, don't buy them“. Historical fiction like *My Name is Red* blurs the dichotomies of fantasy and historical records, and thereafter questions the nature and responsibility of fiction.

The postmodern tactics employed by Orhan Pamuk in his novel reveal his personal disdain and suspicion in history. This novel portrays a multilayered, multcentred narrative where historical events and mystical elements mingle. In this novel we can see narratives within narratives, labyrinths of signs and symbols, binary doubles and identity swapping.

My Name Is Red is a metafictional postmodern novel with rhizomatic structure, made up of 59 chapters with 20 unreliable narrative voices such as the Corpse, the Red, the Money, the Horse, the Dog, the Tree, the Ink, the Death and none of them is reliable. Some narrators language and discourse emphasize a contemporaneous perspective, thus leads the narrative to get a vertical dimension on diachronic plane.

ელენე ჯაველიძე

საქართველო, თბილისი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აღმოსავლეთ-დასავლეთის დიქტომია ორჰან ფამუქის რომანში „მე წითელი მქვია“

ორჰან ფამუქის რომანში „მე წითელი მქვია“ აღმოსავლეთ-დასავლეთის დიქტომიის დოკონსტრუქციას ვხვდებით. რომანში დეტექტიური ტრილერი, სასიყვარულო ისტორია ხელოვნების თაობაზე დისკუსიასთან არის შერწყმული, მე-16 საუკუნის აღმოსავლური მინიატურისა და რენესანსული მხატვრობის შეპირისპირება ხდება. ისტორიის მიმართ არასწორხაზოვანი მიდგომით ფამუქი თხრობას ისეთ პარადიგმულ მოვლენათა ფონზე წარმოაჩენს, რომელიც თანამედროვე ეპოქის წინსმწრები და განმსაზღვრელი ხდება. თხრობა ორ კონტინენტს შორის მოძრაობს დროსა და სივრცეში, ოსმალეთის იმპერიიდან ვენეციამდე, ხდება ისტორიისა და მხატვრული შემოქმედების შერწყმა. ამგვარი ტრანსგრესია პოსტმოდერნისტული მწერლობის დამახასიათებელი ნიშანია, აყალიბებს ფრაგმენტაციასა და სიუჟეტის წყვეტას რომანში, ასევე მიუთითებს პოსტმოდერნისტულ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ თხრობით და ინტერპრეტაციით შეუძლებელია რეალობის წარმოჩენა. რომანის იმპლიციტური დისკურსი – შუასაუკუნეების ალეგორია, ნიშნები, ვიზუალური კოდები, პოსტმოდერნისტული კონცეფციები, რომელსაც თურქი რომა-

ნისტი მიმართავს, ემსახურება გლობალიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი თანამედროვე ჰეგემონური დისკურსის დისკრედიტაციას. ფამუქი გვაფრთხილებს: „რომანებში მე ვცდილობ ვთქვა, რომ ყველა განზოგადება დასავლეთისა და აღმოსავლეთის შესახებ არის განზოგადება. ნუ გჯერათ მათი, ნუ იყიდით მათ“.

რომანში „მე წითელი მქვია“ ფანტაზიასა და ისტორიულ ჩანაწერებს შორის არსებული დიქოტომია იშლება, ხოლო შემდეგ ექვეყვემ დგება მხატვრული ლიტერატურის ტრადიციული არსი და პასუხისმგებლობა. პოსტმოდერნისტული ტაქტიკა, რომელსაც ორჰან ფამუქი იყენებს თავის რომანში მიუთითებს იმაზე, რომ იგი ეჭვით უყურებს ისტორიას. რომანის მრავალშრიან და მულტიცენტრულ თხრობაში ისტორიული მოვლენები, დეტექტიური და მისტიკური ელემენტები ერთმანეთში ირევა. ამ რომანში ჩვენ ვხვდებით ნარატივებს ნარატივებში, ნიშნებისა და სიმბოლოების ლაბირინთებს, ბინარულ წყვილებსა და იდენტობის გაცვლას.

„მე წითელი მქვია“ წარმოადგენს მეტაფიქციურ რიზომატული სტრუქტურის მქონე პოსტმოდერნისტულ რომანს, რომელიც შედგება 59 თავისა და 20 მთხრობელისგან, მათ შორის არის: გვამი, წითელი, ფული, ცხენი, ძაღლი, ხე, მელანი, სიკვდილი და, რა თქმა უნდა, არც ერთი მათგანი არის სანდო მთხრობელი! ზოგიერთი მთხრობელის ენა და დისკურსი თანამედროვე პერსპექტივაზე მიუთითებს, შესაბამისად, ნარატივი დიაქრონულ პლანში ვერტიკალურ განზომილებას იძენს.

Grigol Jokhadze

Georgia, Tbilisi

Ilia State University

Non-literal Conflict
(T. Tabidze VS. O. Mandelstam)

The paper is marked by the attempt to re-read and thoroughly analyze an essay of Osip Mandelstam „Two words about Georgian Art”.

Mandelstam visited Georgia three (1920,1921, 1930) times and dedicated to it several essays, five of which were published in communist press. All of them comprise sudden attack and biased criticism against political and cultural orientation of Democratic Republic of Georgia (1918-1921), which did not go without an aggressive response of T.Tabidze. Researchers (the Georgians among them), although, had always kept way from the detailed analyze of Mandelstam’s dubious passages and prefer to maintain, at least, political correctness.

As the research has shown, not only the common pathos of an essay is saturated with the great-power chauvinism, anti-European and pro-soviet spirit but some specific toposes as well.

გრიგოლ ჯოხაძე

საქართველო, თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

არალიტერატურული კონფლიქტი
(ტ. ტაბიძე VS. ო. მანდელშტამი)

მოსხენების მიზანი დიდი რუსი პოეტის, ოსიპ მანდელშტამის (1891-1938) ნარკვევის – „ზოგი რამ ქართულ ხელოვნებაზე“ „ხელახალი წაკითხვისა“ და გაანალიზების ცდაა. მანდელშტამი სამჯერ (1920, 1921, 1930 წწ.) იყო საქართველო-

ში. პირველ ორ ვიზიტს პოეტმა რამდენიმე ესეისტური ტექსტი მოაყოლა, რომელთაგან ხუთი გამოქვეყნდა. ყველა მათგანი ეწინააღმდეგება და განაქიქებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) როგორც პოლიტიკურ, ისე – კულტურულ ორიენტაციას, რასაც 1923 წ. აგრესიულად გამოეხმაურა ტ. ტაბიძე, თუმცა მკვლევრები (მათ შორის – ქართველნიც), ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ყოველთვის თავს არიდებდნენ მანდელშტამისეული საექვო პასაჟების დეტალურ ანალიზსა და ყბადღებულ პოლიტკორექტულობას ინარჩუნებდნენ.

კვლევამ წარმოაჩინა, რომ ნარკვევის – „ზოგი რამ ქართულ ხელოვნებაზე“ – არათუ ზოგადი პათოსია ველიკოდერჟავული, ანტიევროპული და პროსაბჭოური სულისკვეთებით დანადმული, არამედ – კონკრეტული ტოპოსებიც.

Maka Jokhadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Ambivalent Integrity of Politics and Literature in Zaira Arsenishvili's Novels

Disintegration of the Soviet Union opened a lot of new doors to art on the post-Soviet territory. The words „new doors“ do not imply changes in artistic methods or a writer's imagination but the psychological transformation resulted from abolishment of censorship.

From the 1980-90s, new literary tendencies began to arise along with political changes. Writers, artists audaciously began to analyze people's lives against a background of political regimes and repressions.

Georgian society knew Zaira Arsenishvili to be a musician and screenwriter (she worked in the orchestra of the National Opera and Ballet Theater of Tbilisi; many Georgian movies and documentaries

were made based on her scenarios). From the 90s, Zaira Arsenishvili became famous for her novels: „Requiem for Bass, Soprano and Seven Instruments“, „Oh World“. They were written either during her emigration period or after the collapse of the Soviet Union, when Georgia became independent after long fights and struggles.

„Requiem for Bass, Soprano and Seven Instruments“ was written in the 90s and published in 1997 and 2002. It depicts the fate of musicians and bandsmen of Tbilisi Opera and Ballet Theatre during Soviet repressions. „Oh World“ tells us about the fate of generations who experienced repressions of the 20-30-50s.

Zaira Arsenishvili's novels reveal ambivalent integrity of politics and literature. The unity is organic and interrelated. It did no harm to a musical and lexical pattern of narrative; the novels still make an atmospheric impression on readers.

მკა ჯოხაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პოლიტიკისა და ლიტერატურის ამბივალენტური მთლიანობა ზაირა არსენიშვილის რომანებში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა ყველა თემა ამოვარდა ანდერგრაუნდიდან, პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე შემოქმედებისათვის სრულიად სხვა სივრცეები გადაიშალა. „სხვა სივრცეებში“ ცენზურის გაუქმების შედეგად ფსიქოლოგიურ გადაწყობას უფრო ვგულისხმობ, ვიდრე მხატვრულ მეთოდებსა და ავტორის წარმოსახვის უნარს. 80-90-იანი წლებიდან პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად თანდათან გამოიკვეთა ახალ-ახალი ლიტერატურული ტენდენციები, თემატიკის, მოტივების მრავალფეროვნება. მწერლებმა, მხატვრებმა, ზოგადად, შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლებმა, თამამად მოკიდეს ხელი პოლიტიკური რეჟიმების, რეპრესიების

ფონზე პიროვნებათა თავგადასავლებისა და ხალხის ცხოვრების მხატვრულ ანალიზს.

ზაირა არსენიშვილს ქართული საზოგადოება ძირითადად მუსიკოსად და კინოსცენარისტად იცნობდა. 90-იანი წლებიდან კი მკითხველის წინაშე წარსდგა, როგორც ბრწყინვალე რომანისტი. ეს რომანებია: „რეკვიემი, ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისათვის“ და „ვა, სოფელო...“ ისინი ან ემიგრაციაში უნდა შექმნილიყო, ან საბჭოთა კავშირის ჩამოშლის შემდეგ, როცა საქართველომ დიდი ბრძოლებისა და ქარტახილების შემდეგ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა. ასეც მოხდა, რომანები 90-იან წლებში დაიწერა და 1997-სა და 2002 წელს გამოიცა. „რეკვიემში...“ ასახულია საბჭოთა რეპრესიების ხანაში თბილისის საოპერო თეატრის მუსიკოსთა და ორკესტრანტთა მძიმე ხვედრი, ხოლო რომანი „ვა, სოფელო...“ იმავე თემას ეძღვნება, ოღონდ გაცილებით ფართო ტილოა. ეს რომანი 20-30-50-იანი წლების რეპრესიებში მოხვედრილ თაობათა ბედისწერაზე მოგვითხრობს.

პოლიტიკა და ლიტერატურა, რა თქმა უნდა, სრულიად განსხვავებული ცნებები და განზომილებებია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მათ ამბივალენტურ მთლიანობას. მეტიც, ხშირ შემთხვევაში ამ მთლიანობის ხარისხით განისაზღვრება ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკური სიძლიერე. სწორედ პოლიტიკისა და ლიტერატურის ამბივალენტური მთლიანობა გამოიხატა ზაირა არსენიშვილის რომანებში. მკითხველის თვალწინ ორგანულად, ბუნებრივად, მიზეზ-შედეგობრივად წარმოჩნდა მათი ურთიერთშერწყმა და განუყოფლობა. ეს არ მომხდარა ხელოვნურად, თხრობის საგანგებო პათოსითა თუ ტექსტში პუბლიცისტური ნაკადების შეტანით. პოლიტიკისა და ლიტერატურის ამბივალენტურ მთლიანობას ერთი წუთითაც კი არ დაუზიანებია თხრობის როგორც მუსიკალურ-ინტონაციური, ისე ლექსიკური ქსოვილი, პერსონაჟთა ფსიქოლოგიური სახეები და მკითხველზე ატმოსფერული ზემოქმედების ძალა.

Tamar Kalichava

Georgia, Tbilisi

Sokumi State University

Tamta Kalichava

Georgia, Tbilisi

Ilia State University

Cultural-Historical Challenges of the 90's Georgia Analysis of Otar Chkheidze's Artistic-Documentary Discourse

In the 24 novels of Otar Chkheidze, the life of the 20th century Georgia is presented as a continuous story. In his stories, plays, essays, publications, researches and translations you will find more original, precious and important assessments that reflect all the important facts and events of the 20th century Georgian history.

Otar Chkheidze dedicated the trilogy to a tragic life of the 90s of the 20th century, The first is the «Artistic Coup» created in 1993. In the novel Otar Chkheidze reveals the confusion of a man born in the tranquil reality. The confusion of the entities will become a public confusion in this era, and the already fierce nation will again face disaster. A wide range of demagogias will be given. We see that the political adventure and national independence caused by the apocalyptic phenomenon.

The „Artistic Coup“ together with the documentary became a historical novel, which was naturally subtracted by Otar Chkheidze's next novel. „White Bear“ resembles the tragedy of Abkhazia and clearly demonstrates the cultural and historical challenges of entering the new century.

The history of the 90s of Georgia is fulfilled by the last novel of the trilogy „Bermuda Triangle“. According to the writer's opinion, the title exactly symbolizes Georgia's bermudal fate, alienation and alteration from the dragon's bosom, similar to Amirani's reborn Amirani.

Lia Karichashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Post-modernist Text – Reflection of the Epoch
(Story by Mariana Nanobashvili – „Dance of the Shadows“)**

Post-modernism is characterized with dependence on classical literature (changing structure of the piece of work, change of motifs, disturbance of the entirety of time and space, displacement of the characters). Regarding double coding the text can be perceived as some kind of reflection of the epoch. In this respect, we find that attention should be paid to one of the trends in the pieces of literature written based on the fable of the „Knight in the Panther’s Skin“ – romantic relations between Tariel and Asmat as projection of the consciousness of modern individual on the characters. Illustration of the mentioned trend is Mariana Nanobashvili’s story „Dance of the Shadows“. It repeats the main storyline of the Knight in the Panther’s Skin, from Tariel’s falling in love to settling in the cave with Asmat but now there is a romance triangle. Asmat, Nestan’s servant and friend loves Tariel with entire her heart but he is in love with Nestan and sees no sense of life without her but at the same time he does not reject Asmat’s love.

The main characteristic of the story is its metaphoric nature. And its title – Dance of the Shadows – is metaphoric as well. Metaphor is „sun“ – Nestan, to whom Tariel strives, but at the same time, he is chained by the shackles of everyday life and both – striving to „sun“ and fixation to „ground“ (passion to Asmat) – exist in him simultaneously.

Two mutually excluding relationships, mingling of which was regarded as unacceptable by Rustaveli here are adjusted and adapted: love as pure as divine love and physical passion that has nothing common with divine love. Live of these characters is even further from the truth and hence, their consciousness is disturbed and his mind is split: Tariel still regards him as Netsan’s lover but in his life there is Asmat, real and desired but not equal to his soul. Love has turned into the fiction.

Such „reading“ of the fable seems more realistic to the individual of post-modernism epoch than platonic relations between young man and woman settled in the cave, lover’s torture and pure fidelity described by Rustaveli. The text reflects the consciousness of modern individual, it is related to moral-ethical problems significant for him and makes attempt to demonstrate the general trend of the epoch – abstract nature of the high ideals and their irreality, compared with the real life.

ლია კარიჭაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პოსტმოდერნული ტექსტი – ეპოქის ანარეკლი (მარიანა ნანობაშვილის მოთხრობა „ჩრდილების როკვის“ მიხედვით)

პოსტმოდერნიზმისთვის ნიშანდობლივია დამოკიდებულება კლასიკური ლიტერატურისადმი (ნაწარმოების დესტრუქტურიზაცია, მოტივთა შეცვლა, დროისა და სივრცის მთლიანობის დარღვევა, პერსონაჟთა გადაადგილება). ორმაგი კოდირების გათვალისწინებით კი ტექსტი შესაძლოა აღვიქვათ, როგორც ეპოქის ერთგვარი ანარეკლი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოდ გვესახება „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე შექმნილი თხზულებების ერთ-ერთი ტენდენცია – ტარიელისა და ასმათის რომანი, როგორც თანამედროვე ადამიანის ცნობიერების პროექცია პერსონაჟებზე. აღნიშნული ტენდენციის ილუსტრაციაა თანამედროვე ავტორის მარიანა ნანობაშვილის მოთხრობა „ჩრდილების როკვა“. მეორდება „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ძირითადი პერიპეტიები ტარიელის გამიჯნურებიდან გამოქვაბულში ასმათთან ერთად დაბინავებამდე, მაგრამ ამჯერად სიყვარულის სამკუთხედია მოცემული. ასმათს, ნესტანის ყმასა და მეგობარს, მთელი არსებით უყვარს ტარიელი, რომელიც ნესტანის მიჯნურია და მის გარეშე სიცოცხლის

საზრისი დაუკარგავს, მაგრამ, ამავე დროს, უარს არ ამბობს ასმათის სიყვარულზე.

მოთხრობის მთავარი ნიშანი მეტაფორულობაა. მეტაფორულია სათაურიც – „ჩრდილების როკვა“. მეტაფორაა „მზეც“ – ნესტანი, რომლისკენაც მიისწრაფის ტარიელი, მაგრამ, ამავე დროს, იგი შებოჭილია ყოფიერების მარწუხებით და ორივე – სწრაფვა „მზისკენ“ და მიზიდულობა „მიწისკენ“ (ვნება ასმათისადმი) – ერთდროულად არსებობს მასში. მორიგებულია და შეთავსებულია ის ორი ურთიერთგამომრიცხავი მიმართება, რომელთა აღრევასაც რუსთაველი დაუმშვებლად მიიჩნევდა: მიჯნურობა, რომელიც თავისი სიწმინდით ზამავს საღვთო სიყვარულს, და ხორციელი ლტოლვა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო საღვთო სიყვარულთან. ამ პერსონაჟთა ყოფა კიდევ უფრო დაშორებულია ჭეშმარიტებას, შესაბამისად, მათი ცნობიერება დარღვეული, გახლეჩილი და გაორებულია: ტარიელი კვლავ ნესტანის მიჯნურად მიიჩნევს თავს, მაგრამ მის ცხოვრებაში არის ასმათი, რეალური და სასურველი, მაგრამ არა სულის სწორი. მიჯნურობა ფიქციად იქცა.

პოსტმოდერნიზმის ეპოქის ადამიანს ამგვარი „წაკითხვა“ პოემის სიუჟეტისა უფრო დამაჯერებლად და რეალისტურად მიაჩნია, ვიდრე გამოქვაბულში დამკვიდრებული ქალ-ვაჟის წმინდა ურთიერთობა, მიჯნურის ტანჯვა და შეუბღალავი ერთგულება, რომელზეც რუსთაველი მოგვითხრობს. ტექსტი თანამედროვე ადამიანის ცნობიერებას ასახავს, მისთვის აქტუალურ მორალურ-ეთიკურ პრობლემატიკას უკავშირდება და ცდილობს აჩვენოს ეპოქის ზოგადი ტენდენცია – ამაღლებული იდეალების აბსტრაქტულობა და ირეალურობა ყოფიერებასთან შედარებით.

Mary Khukhunaishvil-Tsiklauri

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Political Events of the 80s-90s of the XX Century and the Youth Literary Journalism

The process of De-Stalinization that started in the USSR in the second half of the 1950s shook the Soviet System and smashed the myth of invincibility and innocence of the Soviet Communist Party – the leading force of the Soviet State. The process was accompanied with the relaxed policy towards political prisoners, intelligentsia. Unfortunately so called political „Thaw“ reached the Georgia twenty years later after the change of the local government. Renewed leadership started the dialogue with the intellectuals-writers for obtaining their benevolence and at the same time to keep the political balance between Moscow and Tbilisi. The situation was not so simple as in the creative works of the writers dominated the theme of national independence lost in 1921 by the invasion of Russia’s Red Army. The bloody event of April 9th of 1989 sped up the collapse of the Communist Regime in Georgia and the country restored the lost independence.

It is natural that the political situation had an impact on the literary activities . It was hard time, especially for the youth literary periodicals that were under the Party subordination and censorship. Despite this editorial board with the help of the intrepid writers having active civic position managed to speak to the young generation on the sharp, problematic themes. It must be noted, that in the period of the collapse of the Soviet power and the change of the government (1989-1990) the youth literary journalism easily managed to be liberated from the Communist heritage.

Zeinab Kikvidze

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Aspects of Narrative Discourse in Contemporary Literature

Political events of the last century both changed the political map of the globe and generated entirely new reality in human minds. The solid status-quo seemed to have collapsed at once and the existing reality seemed to have stood upside down. The objective environment penetrated into the subjective one and made the existential being, having incepted back in modernism, much more profound and solid. The dissembled and disintegrated continuum was to be constructed in a novel way. This was marvelously revealed in modernist sensitivity and postmodernist literature.

A new narrative discourse came into being in which the author of a narrative developed into a narrator character and a narrator reader. Narration comprised documenting of basic political events and facts with a background of the retrospection of history; well-known event, historical facts, historical personalities were involved in narration with their actual and imaginary realities.

A narrator author mostly turned into a narrator character (a homodiegetic narrator), having not only an aggravated response to the narrative but also appeared as an immediate participant of the story (*Boulder on Which Once there was a Church* by G. Dochanashvili, *Your Adventure* by A. Morchiladze, *Small Country* by L. Bugadze).

Frequently, a story has been transferred into an imaginary reality and takes place in a narrator character's conscious; here, the boundary between the real and the imaginary has been discarded. Narration is realized by means of an internal monologue. Historical facts like the disgraceful night of April 9 or events in the 1990s have been represented multiple times in a character's imagination and have been perceived as everlasting disaster.

A kind of a new narrative diegesis comes into being in which historical personalities, events, political and diplomatic relations merge with the writer's contemporaneous facts and personalities, new fictitious characters are created, and a new utopian world is designed, which exists simultaneously exists both in the past and in the presents, thus making up a new reality. However, narration takes place within the metaleptic framework (Santa Esperanza by A. Morchiladze) and the writer turns a reader into a narrator.

Predominantly, both the author and the reader get involved within a common narrative discourse as far as the literary representation of the recent past evokes postmodernist sensitivity in the same way both in reality and in imagination.

ზეინაზ კიკვიძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნარატიული დისკურსის ასპექტები თანამედროვე ლიტერატურაში

გასული საუკუნის დასასრულის პოლიტიკურმა მოვლენებმა არა მარტო მსოფლიო რუკა შეცვალა, არამედ ადამიანთა მენტალობაში წარმოშვა სრულიად ახალი რეალობა. თითქოს მყარი სტატუს-კვო ერთბაშად დაირღვა და არსებული სინამდვილე თავდაყირა დადგა. ობიექტური გარემო სუბიექტურში შეიჭრა და ჯერ კიდევ მოდერნიზმში დაწყებული ეგზისტენციური მყოფობა უფრო გააღრმავა და გაამყარა. დანაწევრებული და დაშლილი კონტინუუმი ახლებურად უნდა აგებულიყო. ეს ყველაფერი კი საუცხოოდ გამოვლინდა პოსტმოდერნისტულ მგრძნობელობასა და პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში.

ჩამოყალიბდა ახალი ნარატიული დისკურსი, რომელშიც ნარატორი ავტორი გაიშალა ნარატორ პერსონაჟად და ნარატორ მკითხველად. თხრობა მოიცავდა ძირეული პოლიტიკური

მოვლენებისა და ფაქტების ფიქსაციას ისტორიის რეტროსპექციის ფონით; ცნობილი მოვლენები, ისტორიული ფაქტები, ისტორიული პიროვნებები თხრობაში ჩართული აღმოჩნდნენ თავიანთი რეალური და წარმოსახვითი სინამდვილით.

ნარატორი ავტორი ძირითადად გადაიქცა ნარატორ პერსონაჟად (ჰომოდიეგეზისურ მთხრობლად), რომელსაც არა მხოლოდ გამძაფრებული რეფლექსია ჰქონდა მონაყოლზე, არამედ ამბის უშუალო მონაწილედ წარმოსდგებოდა (გ.დოჩანაშვილი „ლოდი, ნასაყდრალი“, ა.მორჩილაძე „შენი თავგადასავალი“, ლ.ბულაძე „პატარა ქვეყანა“);

ამბავი ხშირად წარმოსახვით რეალობაშია გადატანილი და ნარატორი პერსონაჟის ცნობიერებაში მიმდინარეობს, ამ შემთხვევაში წაშლილია ზღვარი რეალურსა და წარმოსახვითს შორის. ნარაცია შინაგანი მონოლოგის საშუალებით ხორციელდება. ისეთი ისტორიული ფაქტი, როგორიცაა 9 აპრილის კომმარული დამე ან 90-იანი წლების მოვლენები მოქმედი პირის წარმოსახვაში მრავალგზის რეპრეზენტირდება და მუდმივმოქმედ უბედურებად აღიქმება.

საფუძველი ეყრება ახალი ნარატიული დიეგეზისის სახეს, როცა ისტორიული პიროვნებები, მოვლენები, პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობები მწერლის თანადროულ ფაქტებსა და პიროვნებებს ერწყმება, იქმნებაახალი გამოგონილი პერსონაჟები და ყალიბდება ახალი უტოპიური სამყარო, რომელიც ერთდროულად არსებობს როგორც წარსულში, ასევე თანამედროვეობაში და ქმნის ახალ რეალობას. თუმცა თხრობა მეტაღვსისის ფორმატში მიმდინარეობს (ა.მორჩილაძე „სანტა-ესპერანსა“) და მწერალი მკითხველს ნარატორად აქცევს.

ძირითადად ავტორიცა და მკითხველიც ერთ ნარატიულ დისკურსში ექცევიან, რადგან უახლესი წარსულის ლიტერატურული რეპრეზენტაცია როგორც რეალობაში, ისე წარმოსახვაში ერთნაირად აღძრავს პოსტმოდერნისტულ მგრძნობელობას.

Tsira Kilanava

Georgia, Tbilisi

Ilia state university

Literary Memory on the War of Abkhazia

Various of fictional texts have been created on the topic of the war of Abkhazia. A vast majority of these texts have autobiographic character and because of this, it could perfectly represent the concept of an individual trauma. Above mentioned fact is tightly connected to the phenomenon of memory – an acute theme for researches in the fields of modern west European cognitive sciences (e.g. cognitive psychology and cognitive narratology). Any issue a person remembers (especially from his/her traumatic experience) is considered to be linked to his/her homeostatic needs, besides that it is not an objective verbal copy of the past as its subjective reconstruction (Antonio Damasio, Daniel Schacter, Dorothee Birke).

From the point of the memory expression, the aim of comparing of the first and the last autobiographic texts about Abkhazian war is to reveal the fact of transformation in terms of attitudes towards the already mentioned issues; to be shown the narrative strategies of war/persecution/homesickness/nostalgia and personal identity in 23-year interval from the war period.

Three fictional texts have been chosen for this study: the novels of Guram Odisharia, Irakli Kakabadze and Zura Jishkariani (1995, 2018). The concept of traumatic memory is dominant, while the context of homeostatic needs is different in these authors' novels. All the aims of the authors and their attitudes towards the past experience or the lexical fund – formulating the key notions (hometown, personal identity...) basically differ from each other.

The text data illustrates the different ways of representing of the trauma, which is not depended on the generation difference between the authors, but the individual homeostatic needs and therefore the intention of the authors (in spite of the fact that the authors

themselves have been the witnesses/victims of the war) – why do the writers remember the war/Abkhazia? Depended on the results of the observation, it is possible to distinguish three types of the memory on the war of Abkhazia: emotional, reflective and rational.

ცირა კილანავა

საქართველო, თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურული მეხსიერება აფხაზეთის ომის შესახებ

აფხაზეთის ომის შესახებ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში არაერთი მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტი დაიწერა. მათი უმეტესობა ავტობიოგრაფიულია და შესაბამისად, ინდივიდუალური ტრავმის რეპრეზენტაციას წარმოადგენს. დასახელებული საკითხი პირდაპირ უკავშირდება მეხსიერების ფენომენს, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური საკვლევითემატიკაა თანამედროვე დასავლეთევროპულ კოგნიტურ მეცნიერებებში (მაგალითად, კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და კოგნიტურ ნარატოლოგიაში). მიიჩნევა, რომ ის, რასაც პიროვნება იხსენებს (მით უფრო, ტრავმული გამოცდილებიდან) უშუალოდ დაკავშირებულია მის აწმყო ჰომეოსტაზიურ საჭიროებასთან და არის არა წარსული მოვლენების ობიექტური ვერბალური დუბლირება, არამედ – სუბიექტური რეკონსტრუქცია (ანტონიო დამასიო, დანიელ შახტარი, დოროთე ბირკე).

ხსოვნის/მეხსიერების განსახოვნების თვალსაზრისით, აფხაზეთის/ომის შესახებ დაწერილი/გამოქვეყნებული ერთ-ერთი პირველი და ბოლო ავტობიოგრაფიული ტექსტების შედარებითი ანალიზის მიზანია, დიაქრონულ დონეზე გამოიკვეთოს აღნიშნული საკითხისადმი დამოკიდებულებაში მომხდარი ტრანსფორმაცია; დადგინდეს აფხაზეთის/ომის/დევნილობის/ნოსტალგიის განსახოვნებისა და პიროვნული

იდენტობის ფორმირების ნარატოლოგიური სტრატეგიები ომის შემდგომ პერიოდში 23-წლიანი შუალედით.

საამისოდ შერჩეულია სამი ავტორის: გურამ ოდიშარი-ას, ირაკლი კაკაბაძისა და ზურა ჯიშკარიანის, პროზაული ნაწარმოებები (1995, 2018). მათში დომინანტურია ტრავმული მეხსიერების კონცეპტი, თუმცა განსხვავებულია ჰომეოსტაზიური საჭიროების კონტექსტი. თვისებრივად განსხვავებულია როგორც ტრავმული ისტორიული გამოცდილებისადმი დამოკიდებულება და ავტორთა ინტენცია, ასევე – ლექსიკური ფონდი, რომლის მიხედვითაც ხდება საკვანძო ცნებების (მშობლიური მიწა, დევნილობა, პიროვნული იდენტობა...) ფორმულირება.

აღნიშნულ ტექსტურ მონაცემებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ავტორთა ცნობიერებაში (მიუხედავად იმისა, რომ სამივე ავტორი ომის მოწმე/მსხვერპლია) ტრავმის რეპრეზენტაციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა თაობის ფაქტორს, არამედ – ინდივიდუალურ ჰომეოსტაზიურ საჭიროებასა და მისგან გამომდინარე, ავტორისეულ ინტენციას – რისთვის იხსენებს მწერალი აფხაზეთს/ომს. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება გახსენების პროცესის სამგვარი ტიპის გამოყოფა: ემოციურის, რეფლექსიურისა და რაციონალურის.

Larisa S. Kislova

Russia, Tyumen

University of Tyumen

Russian „New Drama“ of the Turn of XX–XXI Centuries as an Anti-crisis Project: Strategies of Challenge

Russian „new drama“, actively experimenting in the field of form and content, is one of the key stages in the development of the modern literary process. Back in the 1990s, it became the object of consistent understanding by Russian literary criticism.

Radical dramaturgy and epatage theater appear at the turn of the 21st century, when humanity, „balancing“ at the edge of the abyss on the verge of a global disaster. And it is the „new drama“ that has mastered the aesthetics of Antonin Artaud’s „theater of cruelty“ that becomes the mainstream art of the era of the „paradigmatic shift“. In modern theater, the viewer can be involved in the action („THEATER. DOC“) or excluded from it, however the concept of catastrophic existence is present in the „new drama“ as a key one. Plays by O. Bogaev, V.Sigarev, I.Vyrypaev, Presnyakov brothers, V.Levanov, M.Ugarov, Yu.I.Claudian, G. Akhmetzyanova, E. Narsha and others make the reader/viewer go through the conditional disaster.

Thus, the texts of these playwrights demonstrate the consistent destruction of stereotypes by bringing to absurdity typical situations and ordinary circumstances that are not only not the norm, but also contradict it. The reverse side of love is hate, idyllic beauty is devalued by tragedy, external harmony hides a deep internal imbalance. Provocative and epatage latest dramaturgy, embodying the endless nightmare of everyday life and creating a reality that invades „the heart and feelings <...> like a truthful and painful burn“ (A. Artaud), reveals deep intrinsic disharmony prevailing in a seemingly comfortable space.

Iraida Krotenko

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Token Space Collage with the Image of the Fish Avto Varazi

Avto Varazi had been creating collages with the image of the fish for a long time. These collages formed a series in which he put religious meaning by placing the stuffed fish in the space of the collage. At the same time fish was the main component of the polysemantic unity, which still remains a phenomenon for the researchers. As well

as animal-reflecting collages, this series is characterized by technical means, meta-language and the structural peculiarities. Each element has a specific meaning. The subject of scientific interest of this paper is the structural-semantic analysis of the „Fish“ collages, defining the aforementioned series as a signature component of the integrity and artistic system. The research study of the series of „Fish“ collages is the determination of the shape and interaction of verbal and visual composition of the collage, as well as semiotic function of numerical raw and determining its metatextuality, which decodes the author's vision. Complex analysis consists of the following issues: studying religious motives in the „Fish“ collage system, examining the peculiarities of their input in the space based on their dynamics and work; considering the traditional symbols and techniques for the mythological, painting and iconography of fish, searching for their own way; analysis of verbal and non-verbal components of the basal structure of collages; discussing the text and its multi-layered semiotic base, language sign of collage fragments, defining functional and semiotic peculiarities of their function as well as collage frame, the importance of collage names and synthesis of technical and verbal means. The token space of the collage is considered in other types of art on the basis of this topic. A complex approach to the study of „Fish“ collages is based on research in semiology, as a single semiotic system (V. Toporov, I. Lotman, I. Kristeva) and is one of the first attempts of such analysis.

ირაიდა კროტენკო

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ავთო ვარაზის თევზის ამსახველი კოლაჟების ნიშნადი სივრცე

თევზის ამსახველ კოლაჟებს ავთო ვარაზი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქმნიდა. ამ კოლაჟებმა შეადგინეს სერია, რომელშიც ავტორს კოლაჟის ნიშნად სივრცეში თევზის ფიტუ-

ლის მოთავსების წყალობით რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა ჩადებული. ამასთან თევზის ფიტული წარმოგვიდგებოდა როგორც ძირითადი კომპონენტი იმ პოლისემანტიკური ერთიანობისა, რომელიც დღემდე ა.ვარაზის შემოქმედების მკვლევარებისთვის ჯერ კიდევ გამოუცნობ ფენომენად რჩება. ისევე როგორც ცხოველთა ამსახველი კოლაჟები, ეს სერია ხასიათდება ტექნიკური ხერხებით, მეტაენით, სტრუქტურული თავისებურებებით, რომელთა თითოეული ელემენტი კონკრეტულ აზრობრივ დატვირთვას ატარებს.

წინამდებარე ნაშრომის სამეცნიერო ინტერესის ობიექტს წარმოადგენს „თევზის“ კოლაჟების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, ხსენებული სერიის, როგორც მთლიანობის, მხატვრული სისტემის ნიშნადი კომპონენტების განსაზღვრა. „თევზის“ კოლაჟების სერიის კვლევის საგანია კოლაჟის ვერბალურ და ვიზუალურ შემადგენელთა ფორმისა და ურთიერთქმედების კანონზომიერების განსაზღვრა, ასევე რიცხობრივი რიგის სემიოტიკური ფუნქციის, მისი მეტატექსტუალური დატვირთვის დადგენა, რომელიც ავტორისეული ხედვის დეკოდირებას ახდენს. კომპლექსურ ანალიზში შედის შემდეგი საკითხები: რელიგიური მოტივების შესწავლა „თევზის“ კოლაჟების სისტემაში, მათი დინამიკისა და ნაწარმოების ნიშნად სივრცეში მათი შეყვანის თავისებურების გამოკვლევა; თევზის ამსახველი მითოლოგიური, ფერწერისა და ხატწერისათვის ტრადიციული სიმბოლოებისა და ხერხების განხილვა, საკუთარი გზის ძიება; კოლაჟების ფონური სტრუქტურის ვერბალური და არავერბალური კომპონენტების ანალიზი; კოლაჟების, როგორც ტექსტის, ასევე მისი მრავალშრიანი სემიოტიკური საფუძვლის განხილვა; კოლაჟის საგაზეთო ფრაგმენტების ენის ნიშნადობა, მათი ფუნქციის, ასევე კოლაჟის ჩარჩოს ფუნქციონალური და სემიოტიკური თავისებურებების განსაზღვრა; კოლაჟების სახელწოდებების მნიშვნელობა, ტექნიკურ და ვერბალურ საშუალებათა სინთეზი. კოლაჟთა

ნიშნადი სივრცე განიხილება ხელოვნების სხვა სახეობებში ამ თემის რეცეფციის საფუძველზე. „თევზის“ კოლაჟების, როგორც ერთიანი სემიოტიკური სისტემის, როგორც მრავალშრიანი ტექსტის განხილვისადმი კომპლექსური მიდგომა ეყრდნობა გამოკვლევებს სემიოლოგიის სფეროში (ვ.ტოპოროვი, ი.ლოტმანი, ი.კრისტევა) და ამგვარი ანალიზის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს.

Maria Kshonzer

Germany, Lübeck

Doktor of Philology

**Roman Gr. Robakidze („Snake Shirt“) in the Translation
of Kamila Korinteli 1991year-a Sign of the Renaissance
of National Consciousness in Georgi**

Grigol Robakidze's novel was written in 1926 and was published in Tbilisi in Georgian, but since the early 30s of the 20th century his name has been banned in Georgia because of his emigration. The writer of the world scale, recognized in Europe as one of the largest writers, entered the Georgian literary process in the period of perestroika. The appearance of the Russian translation of the novel „Snakeshirt“, carried out by Kamila Corintheli and published in „Literary Georgia“ in 1991, was a significant phenomenon on in Georgian and Russian culture, because the thinker of the world scale at the same time remained a true Georgian in the world vie, which for the Georgian people during the period of national self-determination was important. With all the complexity and multidimensionality of the artistic space of Grigol Robakidze's productions, it is possible to single out the basic idea: the immutability of human essence. The main idea of the novel „Snakeshirt“: the relations hip of the individual with the world due, on the one hand, the divine principle, and on the other, determined

large by national roots, ethnicity. Being a Georgian and an expression of his national spirit, Robakidze was at the same time a citizen of the universe, wrote in three languages (Georgian, Russian and German) and embodied in himself and in his work the unity of the European world view and national identity

Gocha Kuchukhidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

„Krtsanisi Poppies“ and „Drop of Bloody Poppy at Uplistsikhe“

The presentation provides discussion of the verses by Georgian poets Lado Asatiani and Murman Lebanidze: „*Krtsanisi Poppies*“ (1940) and „*Drop of Bloody Poppy at Uplistsikhe*“ (1971).

Asatiani appeals to Georgian warriors killed in Krtsanisi battle (1795), mentions wound of one of them and looks to the blood shed by those, who sacrificed their lives to the native land. Lebanidze's verse is about self-sacrificing to the native land, there is mentioned the poppy as well, in our opinion, in this verse Lebanidze makes hint on „Krtsanisi Poppies“.

Attention should be paid to the fact that Asatiani writes about the already sacrificed blood to the native country while Lebanidze writes about the one that will be shed in the future, there is an impression that **Lebanidze in some way „continues“ Asatiani's verse, implying that in Krtsanisi, where the Georgians were defeated, was not the end of Georgians' war, that in the future we shall have to fight and sacrifice ourselves. Reading of this verse by Lebanidze in the same context as „Krtsanisi Poppies“ makes what the poet wanted to say clearer.**

Way of gaining liberty in Georgian poetry is mostly associated with the dedicated struggle and sacrifice and education, labor is pre-

sented as the other way and this is characteristic for MurmanLebanidze's art as well and, in somewhat well formulated form is present in the article by great Georgian writer and public figure Ilia Chavchavadze written in 1887 „*What Can I Tell You, How Can I Cheer You up*“ („*Now we need courage not for the war to shed blood but courage for labor*“). Supposedly, for Georgian national movement of late 80s of the past century the idea of the first way became more popular and **though the fight from the side of Georgians was particularly peaceful**, particular popularity of this way became the main reason because of which blood and self-sacrifice became the price of gaining of liberty and 9th April 1989 was the most widespread and apparent expression of this.

The presentation provides discussion of the story „*Nameless Man of Uplistsikhe*“ by Georgian writer Guram Rcheulishvili as well.

გოჩა კუჭუხიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„კრწანისის ყაყაჩოები“ და უფლისციხესთან ხილული „სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“

მოხსენებაში ერთ კონტექსტშია განხილული ლადო ასათიანისა და მურმან ლებანიძის ლექსები: „კრწანისის ყაყაჩოები“ (1940) და „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“ (1971).

ასათიანი კრწანისის ბრძოლაში (1795) გმირულად დაღუპულ ქართველ მეომრებს მიმართავს, ახსენებს „შავგზობიანი ვაჟკაცის“ ჭირილობას და სამშობლოსათვის თავგანწირულთა სისხლი უდგას თვალწინ, ლებანიძის ლექსშიც სამშობლოსათვის სისხლის მსხვერპლად გაღებზეა ლაპარაკი, მასშიაც *ყაყაჩოა* ნახსენები, – ვფიქრობთ, *ამ ლექსში მურმან ლებანიძე ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოებზე“ აკეთებს მინიშნებას.*

ყურადღებას ის ფაქტი იქცევს, რომ ლადო ასათიანი გმირთა მიერ სამშობლოსათვის უკვე გაღებულ სისხლზე წერს, მურ-

მან ლებანიძე კი მომავალში დასაღვრელ სისხლზე გვესაუბრება, – იქმნება შთაბეჭდილება, რომ **ლებანიძე ერთგვარად „აგრძელებს“** ასათიანის ლექსს, ქვეტექსტით გვეუბნება, რომ **კრწანისში მარცხით არ დამთავრებულა ქართველთა ომი, რომ მომავალში კიდევ მოგვიწევს ბრძოლა და თავგანწირვა. მურმან ლებანიძის ამ ლექსის „კრწანისის ყაყაჩოებთან“ კონტექსტში წაკითხვა უფრო ადვილად გასაგებს ხდის პოეტის სათქმელს.**

თავისუფლების მოპოვების გზა ქართულ პოეზიაში უმეტესწილად თავგანწირულ ბრძოლასთან და მსხვერპლის გაღებასთან ასოცირდება, მეორე გზად კი განათლება, შრომაა წარმოდგენილი, რაც მურმან ლებანიძის შემოქმედებისათვისაც არის დამახასიათებელი და რაც ძალზე მკაფიოდ და ერთგვარად ფორმულირებული სახით მოჩანს ილია ჭავჭავაძის მიერ 1887 წ-ს დაწერილ ცნობილ წერილში – „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ („*ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა*“); გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოს ეროვნული მოძრაობისათვის, ჩანს, უფრო პირველი გზის იდეა გახდა პოპულარული და, მიუხედავად იმისა, რომ, **ქართველთა მხრიდან ბრძოლას უკიდურესად მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა**, სწორედ ამ პირველი გზის განსაკუთრებული პოპულარობა შეიქმნა **ერთ-ერთ** მთავარმიზეზად იმისა, რომ სისხლის ფასად დაჯდა თავისუფლებისკენ სვლა, რის საყოველთაოდ თვალსაჩინო გამოხატულებად 1989 წლის 9 აპრილი იქცა.

მოხსენებაში გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა – „*უსახელო უფლისციხელის*“ შესახებაც არის საუბარი.

Tatjana Kuharenoka

Latvia, Riga

University of Latvia

**„Who We are and Who we Were“.
Christa Wolf's Diaries as a Form of Inner Resistance**

The paper focuses on the diaries of the German writer Christa Wolf that cover the period between 1960 and 2011: (1929-2011), *One Day a Year* (2003), *One Day in the New Century* (2013), and *Moscow Diaries* (2014). Mixed in type and style, highly heterogeneous in terms of genre, they represent a very frank narrative by a writer on time and herself. So much so that these texts became extremely significant for the twenty-first century German-language literature.

As evidence of a personal and social crisis, the diary entries reflect the entire intensity of the passions and the sometimes unmanageable contradictions of the twentieth century's last decades.

These diaries register not only the factual aspects of life, but also focus on the inner space of the autobiographical subject. The latter entries demonstrate a substantial degree of scepticism concerning the chances and conditions of women's creative self-realisation, which becomes a significant theme in the diary.

Of particular importance here is the autobiographical subject's attention to the problem of the body, partly discussed in diaries, which are looked at through the concepts of disease, game and theatricality. Such thematic layers are often directly related to the dichotomy of truth and lie, becoming almost a metaphor in the general context of the diaries.

The proposed paper will demonstrate, amongst others, how the underlying nature of the era not only affects the inherent character of the records, but also dictates the need for a conceptual modification of the autobiographical text.

Nona Kupreishvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

From Literary Journalism to Literary Writings

Fall of Soviet Union as a support of totalitarianism in many respects stipulated literary tendencies of post-soviet and post-socialistic countries and those facts that followed it. Extremely tense reality so had outridden with artistic invention that artistic prose ranswered to this new challenge of time with movement from conceived and composed to nonfictional text. Thus were established antinomic concepts of so called „fiction“ and „nonfiction“ that majority was assigned exactly by „nonfiction“. S. Alexievich

In accordance with the opinions of some critics (e.g. L. Bregadze), our hagiographic literature hard for inclusion in canonical frame belongs to our „nonfiction“, then Sul Khan-Saba's „Journey to Europe“, A. Tsereteli's „My Adventure“. But as for the literature dated by the 20th century, here are named: R. Cheishvili's „Music in Wind“, A. Bakradze's „Literature Taming“. O. Chkheidze's „My Abbey“, V. Javakhadze's „Stranger“.

Former journalists also discuss the issue of “nonfiction” and it is clear that neither this is coincidental. Such author is a writer Shorena Lebanidze, whose even the first book's title (“Permit to Conflict Zone” – 2014) indicates her, as a journalist's, that time special correspondent of independent newspaper „7 Days“ scope of work and local.

Shorena Lebanidze passed the stage of so called „literary journalism“ (creative non-fiction). Exactly in this period her texts emphasized and developed development tendency towards two principal courses „vision-record and distribution“ – actual journalistic habits. The author at the same time appears with the narration of eyewitness and warrior. Even she is famous for her writing skill.

ნონა კუპრეიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ლიტერატურული ჟურნალიზმიდან მწერლობისკენ

პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ქვეყნების ლიტერატურული ტენდენციები მრავალმხრივ განაპირობა ტოტალიტარიზმის საყდენის, საბჭოთა კავშირის, ნგრევამ და იმ მოვლენებმა, რომელიც მას მოჰყვა. უკიდურესად დაძაბულმა რეალობამ იმდენად გაუსწრო მხატვრულ გამოწვინებას, რომ მხატვრულმა პროზამ დროის ამ ახალ გამოწვევას გამოგონილ-შეთხზულიდან არაბელეტრისტულ ტექსტზე გადანაცვლებით უპასუხა. ასე დამკვიდრდა ე.წ. „ფიქშენისა“ (fiction) და „ნონ-ფიქშენის“ (non-fiction) ანტინომიური ცნებები, რომელთაგან უპირატესობა სწორედ „ნონფიქშენმა“ დაისაკუთრა. ეს ფაქტი ბელორუსი ჟურნალისტიკისა და მწერლის, სვეტლანა ალექსიევიჩის, წიგნების სერია „უტოპიური ხმებისთვის“ 2015 წელს ნობელის პრემიის მინიჭებამაც დაადასტურა.

ზოგიერთი კრიტიკოსის მოსაზრებით (მაგ. ლ. ბრეგაძე), ჩვენებურ „ნონფიქშენს“ მიეკუთვნება ჩვენივე აგიოგრაფიული მწერლობა, სულხან –საბას „მოგზაურობა ევროპაში“, ა.წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“. XX საუკუნის მწერლობის კონტექსტში კი ასახელებენ რ. ჭეიშვილის „მუსიკას ქარში“, ა. ბაქრაძის „მწერლობის მოთვინიერებას“, ო. ჩხეიძის „ჩემს სავანეს“, ვ. ჯავახიძის „უცნობს“.

„ნონფიქშენის“ დისკურსს ყოფილი ჟურნალისტებიც ქმნიან. მაღალპროფესიულ ჟურნალიზმს ხშირად უწოდებენ „მარცხენა ხელით, ანუ ნაჩქარევად შექმნილ ლიტერატურას“, რომელიც, ცხადია, სათანადო ნიჭისა და მიდრეკილების შემთხვევაში (რაც, სამწუხაროდ, ფრიად იშვიათი მოვლენაა), სამწერლო უნარის განვითარების წინაპირობად იქცევა. ასეთი ავტორია მწერალი შორენა ლებანიძე, რომლის პირველი წიგნის სათაურიც კი („საშვი კონფლიქტის ზონაში“-2014) მიგვანიშ-

ნებს მისი, როგორც ჟურნალისტის, როგორც იმხანად დამოუკიდებელი გაზეთ „7 დღის“ სპეციალური კორესპოდენტის, საქმიანობის მიმართულებასა და ლოკალზე.

შორენა ლებანიძემ, რომელიც დღეს რამდენიმე მხატვრულ-დოკუმენტური რომანის ავტორია, გაიარა ე.წ. „ლიტერატურული ჟურნალიზმის“ (Creative non-fiction) ეტაპი. სწორედ ამ პერიოდში მის ტექსტებში გამოიკვეთა „დანახვა-ჩაწერა, გავრცელების“ – ამ წმინდა წყლის ჟურნალისტური ჩვევების ორი ძირითადი მიმართულებით განვითარების ტენდენცია: ავტორი ერთსა და იმავედ დროს წარმოგვიდგება თვითმხილველისა და ომში მონაწილე ქალის ნარატივით. თანაც ცხოვრებიდან უშუალოდ აღებული ამბები მასალის მოწოდების გამორჩეული უნარით, მათი სტრუქტურირებითა და შეფასებებითაც ჩვენი უახლესი ისტორიის არა ე.წ. „შავი პირის“, არამედ სწორედაც რომ „დედნის“ სრულ შთაბეჭდილებას ქმნის.

Nestan Kutivadze

Georgia Kutaisi

Akaki Tsereteli State University

The Socium of the End of the 20th Century in the Artistic Narrative

The 80-90s of the 20th century became the epoch of the most important world cataclysms. Early in the Soviet Union, the „Perestroika“, that was declared in 1984, was followed by the beginning of the process of reevaluation of the existing, rethinking of true values, the struggle for national independence and the collapse of «the great Soviet nation». The dissolved empire brutally dealt with the nations who fought for freedom, especially with Georgia, which had greatly sacrificed for the realization of the idea of the statehood surviving

the centuries, and at that time was fighting for finally regaining and retaining its independence.

The assessment of historical high winds takes place in literary texts from many different perspectives and with the psychological depth, and often shows the essence of the epoch in more details rather than the facts presented in the documents. Fiction is nothing but a form of preserving the historical memory that is natural considering the literary process taking place on the boundary of the 20-21st centuries. In this period the literature effectively reflected the current changes in social life, the spiritual crisis of the socium, the tragedy that accompanied not only the dissolution of the world's largest totalitarian state of the 20th century's but also the existence in it.

In the artistic narrative of the authors of various generations and different styles of writing (N. Shataidze, D. Turashvili, G. Kartvelishvili, N. Sadghobelashvili, D. Zurabishvili ...) a severe spiritual picture of the 90s of the 20th century was interpreted, which included the painful process of breaking illusions aftermath of the patriotic delight, human experiences, the weaknesses, the mistakes, the violent actions of ordinary people struggling for day-to-day survival due to ethnic conflicts, war, and the toughest socio-economic situation. At the same time, it showed the ability of the population to fight and resist the contradictions, the strength, obstinacy and confidence of the character to search the way for survival. The narrative (a literary fairy tale, play, story) created by the writers of this period using postmodernist and realistic methods diversely depicts and preserves a very important stage of Georgia's latest history and a number of artistic concepts defining this stage.

ნესტან კუტივაძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XX საუკუნის დასასრულის სოციუმი მხატვრულ ნარატივში

XX საუკუნის 80-90-იანი წლები უმნიშვნელოვანესი მსოფლიო კატაკლიზმების ეპოქა აღმოჩნდა. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში 1984 წელს გამოცხადებულ „პერესტროიკას“ მანამდე არსებულის გადაფასების პროცესის დასაწყისი და ჭეშმარიტ ფასეულობათა გადააზრება, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და „დიდი საბჭოთა ქვეყნის“ დანგრევა მოჰყვა. დაშლილი იმპერია სასტიკად გაუსწორდა თა-ვისუფლებისათვის მებრძოლ ერებს, განსაკუთრებით საქართველოს, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო საუკუნეების განმავლობაში გამოტარებული სახელმწიფოებრიობის იდეის რეალურად განსახორციელებლად, ამჯერად საბოლოოდ აღსადგენად და შესანარჩუნებლად.

ისტორიული ქარტეხილების შეფასება მრავალგვარი რაკურსითა და ფსიქოლოგიური სიღრმით სწორედ ლიტერატურულ ტექსტებში ხდება და ხშირად უფრო სრულყოფილად აჩვენებს ეპოქის არსს, ვიდრე დოკუმენტებში გადმოცემული ფაქტები. მხატვრული ლიტერატურაც სხვაარაფერია, თუ არა ისტორიული მეხსიერების შენარჩუნების ფორმა, რაც კანონზომიერია XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარე ლიტერატურული პროცესის გათვალისწინებითაც. ამ პერიოდის მწერლობაში ოსტატურადაისახა მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები, სოციუმის სულიერ კრიზისი, ის ტრაგიზმი, რომელიც ახლდა XX საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ტოტალიტარული სახელმწიფოს არა მხოლოდ რღვევის პროცესს, არამედ მასში არსებობასაც.

სხვადასხვა თაობისა და ხელწერის მქონე ავტორთა (ნ. შატიძე, დ. ტურაშვილი, გ. ქართველიშვილი, ნ. სადღო-

ბელაშვილი, დ. ზურაბიშვილი...) მხატვრულ ნარატივში ინტერპრეტირდა XX საუკუნის 90-იანი წლების სოციუმის ურთულესი სულიერი სურათი, რომელიც მოიცავდა პატრიოტული აღმადრენის შემდგომ ილუზიების მსხვერვის მტკივნეულ პროცესს, ეთნიკური კონფლიქტებისა და ომის, უმძიმესი სოციალ-ეკონომიკური ვითარების გამო ყოველდღიურად გადარჩენისათვის ბრძოლაში ჩაბმული ჩვეულებრივი ადამიანის განცდებს, სისუსტეებს, შეცდომებს, ძალადობრივ ხდომილებებს. ამასთან ერთად აჩვენებდა ამ პერიოდის მოსახლეობის ბრძოლისუნარიანობას, წინააღმდეგობებთან შეურიგებლობას, გადარჩენის გზის ძიებისას გამოვლენილ ხასიათის სიმტკიცეს, შეუპოვრობასა და რწმენას. ამ პერიოდის მწერალთა მიერ როგორც პოსტმოდერნისტული, ისე რეალისტური მეთოდით შექმნილ ნარატივში (ლიტერატურულმა ზღაპარი, პიესა, მოთხრობა) მრავალი პლასტიტ რეპრეზენტირდა და სამუდამოდ შეინახა საქართველოს უახლესი ისტორიის უადრესად მნიშვნელოვანი ეტაპი და ამ ეტაპის განმსაზღვრელი არაერთი მხატვრული კონცეპტი.

Manana Kvachantiradze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The concept of freedom in novels of Otar Chiladze („March rooster“, „Avelum“).

Freedom is one of the main signified and complex semantic structure in Otar Chiladze's novels. The second member freedom-slavery opposition is viewed not as indispensable determination but as challenge that could be overcome by human effort.

In „March rooster“ the moral problem is solved by acknowledgment of responsibility by every member of cultural unity for common past and future as well as the responsibility for one's personality as a part of this unity.

In „Avelum“ the concept of freedom opens connotation chain of inner conflict where freedom is represented on the one hand as the freedom-unfreedom fixed union, on the other hand it is the main sign of the contraversion and ambivalence prevailing within the humans essence. This inner conflict is revealed on every stage and in every sphere of human existence: in internal and external, physical and spiritual, social and moral.

In Otar Chiladze's novels we meet wide range of freedom-attachment semantics. For example attachment to the will of destiny, to homeland, to love and hate, illness and sin, poverty and freedom etc. With a chain (Amiran); bed (Nico's father) sin (Gogia's uncle); love (Avelum); grave(Gij-kola); dream (children with wings) etc. Being attached, chained, being incapable to escape something or from something is the global form of existence represented in the symbol of Amiran.

The text of Otar Chiladze's novels generates significances of freedom on the level of content and representation in narrative as well as in poetic figures. It constantly overcomes steady schemes and finds new structures in order to introduce new meanings. The concept of freedom in correlation with concepts of life, savior, love, past and memory creates associational field of long-lasting emotional impact where mental image of freedom in connection with new signs acquires important shades.

მანანა კვაჭანტირაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

თავისუფლების კონცეპტი ოთარ ჭილაძის რომანებში („მარტის მამალი“, „ავალუმი“)

ოთარ ჭილაძის რომანებში თავისუფლება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად არსანიშნს და რთულ სემანტიკურ სტრუქტურას. თავისუფლება-მონობის ოპოზიციის მეორე წევრი

ცნობიერდება არა როგორც გარდაუვალი დეტერმინაცია, არა მედროგორც წინააღმდეგობა, რომლის გადალახვაც ადამიანის განუწყვეტელ ძალისხმევას მოითხოვს.

„მარტის მამალში“ თავისუფლების პრობლემა გადაიჭრება იმ ზნეობრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერებით, რომელიც ეროვნული და კულტურული ერთიანობის თითოეულ წევრს აკისრია საერთო წარსულისა და მომავლის, საკუთარი პიროვნების, როგორც ამ მთელის ნაწილის მიმართ.

„აველუმში“ თავისუფლების კონცეპტი წარმოაჩენს ამ ცნების შინაგანი წინააღმდეგობების კონოტაციათა რიგს, სადაც თავისუფლება წარმოდგენილია, ერთის მხრივ, როგორც თავისუფლება-აუცილებლობის განუყოფელი და გადაუღებელი ერთიანობა, მეორეს მხრივ კი ადამიანის შინაგანი არსის ოპოზიციურობის, ამბივალენტურობის უმთავრესი ნიშანი. ეს შინაგანი წინააღმდეგობა ვლინდება ყველა დონეზე, ადამიანის არსებობის ყველა სფეროში: შინაგანსა თუ გარეგანში, ფიზიკურსა თუ სულიერში, სიციალურსა თუ ზნეობრივში.

ოთარ ჭილაძესთან ვხვდებით თავისუფლება-მიჯაჭვულობის მნიშვნელობათა ძალზე ფართო სპექტრს: მიჯაჭვულობა განგების ნებაზე, სამშობლოზე, სიყვარულზე, სიძულვილზე, ავადმყოფობაზე, ცოდვაზე, სიბეჩავეზე, თავისუფლებაზე და ა. შ. – ჟაჭვით (ამირანი); საწოლით (ნიკოს მამა) 9 ცოდვით (გოგას ბიძა); სიყვარულით (აველუმი); საფლავით (გიჯ-კოლა); ოცნებით (ფრთიანი ბავშვებით) და ა. შ. მიჯაჭვულობა, ტყვეობა, თავდაუდღწევლობა რაღაცაზე და რაღაცისგან წარმოადგენს ადამიანის არსებობის გლობალურ ფორმას და ამირანი მისი სიმბოლოა..

ოთარ ჭილაძის ტექსტი თავისუფლების მნიშვნელობებს აღმოაცენებს როგორც შინაარსის, ისე ასახვის დონეზე, როგორც ნარატიულ, ისე პოეტურ ფიგურებში. იგი განუწყვეტლივ გადალახავს მზა სტრუქტურებს და პოულობს ახლებს ახალ მნიშვნელობათა შემოსატანად. თავისუფლების კონცეპტი სიცოცხლის, გადარჩენის, სიყვარულის, წარსულისა და ხსოვნის

კონცეპტებთან კორელაციაში ქმნის ხანგრძლივი ემოციური ზემოქმედების ასოციაციურ ველს, სადაც ახალ ნიშანთა გარემოცვაში თავისუფლების მენტალური ხატი მნიშვნელობათა ახალ ნიუანსებს იძენს.

Manana Kvataia

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

On the Relationship of Existential Vectors of the Literary and Political Fields of the „Happy martyr“

According to Bismarck's famous saying „politics is not a science, but an art“. Hence, it is closely related with all spheres of the man's spiritual life, including literature. Georgian classic Otar Chiladze considers that a mission of the writer, and in general, the creator, is „compassion, encouragement of a man who has fallen into the labyrinth of life“. By his introspection, along with the development of technology and widening the boundaries of mass culture, the role of the mother tongue, psyche and traditions acquires special importance. The creator calls these fundamental concepts the „holy trinity“ through which the essence of each person is formed. By the optimistic conclusion of the Georgian writer, in spite of everything, the mankind is „doomed“ to immortality and the mystery of this immortality is hidden in the human soul.

In his formation as a creator Otar Chiladze assigns a decisive role to the fate of his own homeland. As he writes, „While reading Georgia's history, you involuntarily start to think mythologically“ and then notes that his goal has never been the creation of a historical work in the strict and direct sense of this word. According to Otar Chiladze's observation, there is always a man in the center of literature, in general and in particular historical prose, although it is not at all necessary that this person be a truly historical figure. At the same time, the writer

believes that what belongs to history is eternal, i.e. completed, solved once and forever. Hence, the literature tries to seek the eternal in the transient. The Georgian classic notes that he supports traditional novel in word and deed, because by his definition it includes all types of modern novel, although not everything that is created today meets modern standards.

When discussing the aspects of Georgia's political field in the 1980s and 1990s, Otar Chiladze singles out new mainstream vectors of the country and points out that a national movement cannot be brutal and any cruelty towards it makes it even more inevitable. The brutality of the „night of terror“ on April 9/1987 made Otar Chiladze loudly declare that the greatest crime of his nation trampled on like reptile was the desire for freedom. The writer sees the roots of the apathy of modern society in political factors rather than in psychological, etc.

Considering the global issues, Otar Chiladze notes that the salvation for modern humanity facing great challenges is rooted in a word „love“ as a step towards loving your neighbors. In the words of the writer, a man left without love has lost the sense of eternity and with despair clung to the transitory. Otar Chiladze connects many drawbacks of today's world with this. Hence, the creator sees the main task of the writer in the service of love, because in his view, ultimately the literature is nothing more than a love story.

მანანა კვატია

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ბედნიერი ტანჯულის“ ლიტერატურულ და პოლიტიკურ ველთა ექსისტენციური ვექტორების მიმართებისათვის

ბისმარკის ცნობილი გამოთქმით, პოლიტიკა არ არის მეცნიერება, ის ხელოვნებაა. შესაბამისად, იგი მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის სულიერი ცხოვრების ამსახველ ყვე-

ლა სფეროს, მათ შორის, ლიტერატურას. ქართველი კლასიკოსის ოთარ ჭილაძის დეფინიციით, მწერლობის, თუ ზოგადად, შემოქმედის, დანიშნულება გახლავთ „თანაგრძნობა, გამხნეება ცხოვრების ლაბირინთში მოხვედრილი ადამიანისა“. მისივე რეფლექსიით, ტექნიკის განვითარებასთან და მასობრივი კულტურის საზღვრების გაფართოებასთან ერთად განსაკუთრებულია მშობლიური ენის, ფსიქიკისა და ტრადიციის როლი. ამ ფუნდამენტურ ცნებებს შემოქმედი „წმინდა სამებას“ უწოდებს, რომლის მეშვეობითაც ყოველი პიროვნების საფუძველთა საფუძველი ყალიბდება. ქართველი მწერლის ოპტიმისტური დასკვნით, ყველაფრის მიუხედავად, კაცობრიობა უკვდავებისთვისაა „განწირული“, ხოლო ამ უკვდავების საიდუმლო ადამიანის სულში იმალება.

მისი, როგორც შემოქმედის, ჩამოყალიბებაში ოთარ ჭილაძე გადამწყვეტ როლს საკუთარი სამშობლოს ბედს ანიჭებს. „როცა საქართველოს ისტორიას კითხულობ, ძალაუნებურად მითოლოგიურად იწყებ აზროვნებას“, – წერს იგი და აღნიშნავს, რომ მისი მიზანი არასოდეს ყოფილა ისტორიული ნაწარმოების შექმნა ამ სიტყვის მკაცრი და პირდაპირი გაგებით. ოთარ ჭილაძის დაკვირვებით, ზოგადად, ლიტერატურის და, ამდენად, ისტორიული პროზის ცენტრში ყოველთვის ადამიანი დგას, თუმცა სრულებით არ არის აუცილებელი, ის ადამიანი ნამდვილად ისტორიული პიროვნება იყოს. ამავე დროს, მწერალი ფიქრობს, რომ, ის, რაც ისტორიას ეკუთვნის – მარადიულია, ანუ დასრულებული, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი. შესაბამისად, ლიტერატურას წარმავალის მარადიულობა აინტერესებს. ქართველი კლასიკოსი აღნიშნავს, რომ იგი სიტყვითაც და საქმითაც მხარს უჭერს ტრადიციულ რომანს, რად-გან მისი განსაზღვრებით, ის თავის თავში თანამედროვე რომანის ყველა სახეობას მოიცავს, თუმცა, რაც დღეს იქმნება, ყველა თანამედროვე ტექსტი როდია.

1980-1990-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ველის ასპექტებზე მსჯელობისას ოთარ ჭილაძე ქვეყნის ახალ მაგისტრალურ ვექტორებს გამოყოფს და მიუთითებს, რომ

ეროვნული მოძრაობა არ შეიძლება იყოს სასტიკი, ხოლო ნებისმიერი სისასტიკე მის მიმართ მას კიდევ უფრო გარდუვალს ხდის. 9 აპრილის „ბართლომეს ღამის“ სისასტიკემ ოთარ ჭილაძეს ხმამაღლა ათქმევინა, რომ ქვეწარმავალივით გასრეხილი მისი ერის ყველაზე დიდი დანაშაული თავისუფლებისკენ სწრაფვა იყო. თანამედროვე საზოგადოების აპათიის ფესვებს მწერალი უფრო პოლიტიკურ ფაქტორებში ხედავს, ვიდრე ფსიქოლოგიურში და ა.შ.

გლობალურ პრობლემატიკაზე განსჯისას ოთარ ჭილაძე შენიშნავს, რომ უდიდეს განსაცდელში აღმოჩენილი თანამედროვე კაცობრიობისათვის გადამრჩენი სიტყვა „სიყვარულია“ – მოყვასისაკენ გადადგმული ნაბიჯი. მწერლის თქმით, უსიყვარულოდ დარჩენილმა ადამიანმა მარადიულობის შეგრძნება დაკარგა და წარმავალს გამწარებული ჩააფრინდა. ამას უკავშირებს ოთარ ჭილაძე დღევანდელი ცხოვრების ბევრ ხარვეზს. შესაბამისად, მწერლის მთავარ ამოცანას შემოქმედი სიყვარულის სამსახურში ხედავს, რადგან ლიტერატურა, მისი შენიშვნით, ბოლოს და ბოლოს სიყვარულის ისტორიაა და სხვა არაფერი.

Maia Kvirkvelia

Georgia, Tbilisi

TSU, PhD Student

Postmodernist Version of Ilia Chavchavadze's Murder in Lasha Imedashvili's Novel „Three Murders in Old Tbilisi“

Detective fiction is a literary work that describes the mystery of a grave crime being solved. The authors of the most famous suspense fiction in the world literature are Arthur Conan Doyle, Agatha Christie, and Edgar Allan Poe, among others. One of the most distinguished representatives of this genre in Georgian reality is the winner of «Saba» literary prize Lasha Imedashvili, who in his novel

„Three Murders in Old Tbilisi“ offers us his insight into the killings of Ivane Machabeli, Ilia Chavchavadze and Dagny Juel Przybyszewska. The postmodernist author develops his version of events while duly taking into account the historical reality.

We assume that the writer has done a lot of work before starting to write his prosaic text. He has got acquainted with numerous official documents and different versions of the great poet's slaying. Only after this preliminary work was done, he has artfully established his position regarding the issue and transferred it into his text.

In a classic detective fiction, the crime is investigated. Here, the author does not change the names and surnames of the persons involved, and his narrative is about the real crimes by real people. The plot of the novel seen as a new version of Ilia's murder is quite convincing, as the author uses elements of detective fiction. The novel includes the procedural records of questioning, detailed process of investigation, and the murder 'resolution' scene. In the presented report the

Lasha Imedashvili's prosaic text and the real protocols preserved in the Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia are discussed interchangeably. It is analysed what and why has the author actually changed things. The text under consideration is also important because here the writer writes about another writer. Equally interesting the style and the peculiarities of the narrative by the postmodernist author. „Three Murders in Old Tbilisi“ was first published in 2006.

მაია კვიციანი

საქართველო, თბილისი

თსუ, დოქტორანტი

**ილია ჭავჭავაძის მკვლელობის პოსტმოდერნისტული
ვერსია ლაშა იმედაშვილის რომანში
„სამი მკვლელობა ძველ თბილისში“**

დეტექტივი ნაწარმოებია, სადაც აღწერილია საიდუმლოებით მოცულ მძიმე დანაშაულებათა გახსნის ამბავი. მსოფლიო ლიტერატურაში ყველაზე ცნობილი დეტექტივების ავტორები არიან: არტურ კონან დიოლი, აგათა კრისტი ედგარ ალან პო და ა.შ. ქართულ რეალობაში ამ ჟანრის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატი ლაშა იმედაშვილი, რომელიც რომანში „სამი მკვლელობა ძველ თბილისში“ გვთავაზობს ივენე მახაბლის, ილია ჭავჭავაძისა და დაგნი იულოვი პრესპიშვესკაიას მკვლელობის ახლებურ გააზრებას. პოსტმოდერნისტი ავტორი თავის ვერსიას ავითარებს ისტორიული სინამდვილის გათვალისწინებით.

მწერალს, პროზაული ტექსტის ჩამოყალიბებამდე, ვფიქრობთ, სერიოზული სამუშაო ჩაუტარებია. გაცნობია არაერთ ოფიციალურ მონაცემს და დიდი პოეტის მკვლელობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ვერსიას. მხოლოდ ამის შემდეგ მხატვრულად ჩამოყალიბებია საკუთარი პოზიცია და ნაწარმოებში გადმოუცია. კლასიკური დეტექტივის კვალდაკვალ, დანაშაულს იძიებენ. ავტორი არ ცვლის სახელებსა და გვარებს და რეალური ადამიანების დანაშაულზე გვიყვება. რომანი, როგორც ილიას მკვლელობის ახლი ვერსია, დამაჯერებელია, რაკილა ავტორი დეტექტივის ელემენტებს იყენებს. რომანში მოტანილია დაკითხვის პროცესუალური ჩანაწერები, ძიების დეტალური მსვლელობა და მკვლელობის „გახსნის“ სცენაც. წარმოდგენილ მოხსენებაში ლაშა იმედაშვილის პროზაულ ტექსტსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული რეალური ოქმები ურთიერთპარალელურად

არის განხილული. გაანალიზებული რას და რატომ ცვლის ავტორი. განხილული ტექსტი მნიშვნელოვანია, რადგან მწერალი წერს მწერალზე. ასევე, საინტერესოა პოსტმოდერნისტი ავტორის სტილი და თხრობის თავისებურება.

„სამი მკველელობა ძველ თბილისში“ პირველად 2006 წელს გამოქვეყნდა.

Jurate Landsbergyte-Becher

Lithuanian, Vilnius

Lithuanian Culture Research Institute

Literature in Political Context: Return of Non-occupied Lithuania

In the times of later Cold war every lithuanian intellectual knew about concept of „two Lithuanias“. But there was hidden from society life a third one, allmost „vanished from the map“ of literary context. In this separated reality concept the first one was formal, kind of dealing with soviet goverment,with its ideology, conforming and avoiding confrontations,some times trying to go trough „iron curtain“. Literature then was filled with all possible humanitarian aspects to soften ideology and with a legal link to ages old „not dangerous“ history (Justinas Marcinkevičius, Eduardas Mieželaitis, Jonas Avyžius). The second Lithuania was overseas,which literature was filled with images of partisan war, psychological depths of emigrants and even of political life continnued with fight for freedom and understanding, that Lithuanias right is belonging to the Free World(Bernardas Brazdžionis, Henrikas Nagys,Antanas Škëma,Algirdas Landsbergis, Algimantas Mackus). But the third Lithuania was the one,who in real changed political context of 1990-ies. Though it was very hard staying in non-literary conditions of prison camps. It could be named ages of Endarkening in contrary of Enlightening. There were priests andcatholic underground dissidents as well. They were called Non-

occupied. Their return to Lithuania changed the historical concept of literature. The soviet narrative of partisan war in Lithuania (its most popular example is Vytautas Žalakevičius movie „Nobody wanted to die“) was not accepted anymore, because Lithuania understood, in this time (war after war) the country was losing its archetypal Self as free State. After 1990 return of Non-occupied is important, but metaphorical mean, because they all were murdered or died in these circumstances. Though they changed literary discourse of history and opened long hidden poetry of loss. Their names: Diana Glemzaite, Bronius Krivickas, Mindaugas Tomonis, Juozas Zdebskis, Jonas Kazlauskas, Bronius Laurinavičius, Vilius Orvydas remain symbols of non-treason intellectuals, creating another reality of non-occupied zone in Lithuania. This concept of literature is still underway to intellectual discourse, causing many misunderstandings by the Soviets influenced part of society, but making very interesting and inspiring contemporary political cultural context

Kun Jong Lee

South Korea, Seoul

English Department of Korea University Korea

The Rise of Asian Australian Literature in the 1980s: The Case of Don'o Kim's The Chinaman

This essay argues that Don'o Kim's *The Chinaman* (1984), one of the first Asian Australian novels, is a powerful narrative firmly rooted in the sociohistorical context of white-East Asian encounters in Australia. Kim first problematizes the pejorative term „Chinaman“ which designates not only a Chinese/East Asian but also a ciguatoxic fish. The Korean Australian writer goes on to claim the pan-East Asian Australian history as his own by recalling the signal or symbolic moments of the white-East Asian Australian conflicts such as the 1854 Sinophobic riots at Bendigo and the 1980 Yeppoon bombing of a Japanese resort

project. At the same time, he dramatizes incidents of racist discrimination against Asians/Asian Australians still lingering after the final abolishment of the White Australia policy. On the other hand, he suggests that Anglo-Celtic Australian's racist attitudes against Asians/Asian Australians derive partly from their anxiety about the apparently precarious position left abandoned and forgotten at the former outpost of the British Empire. He continues to interrogate their espousal of cultural whiteness as the heart of national identity and to denounce their colonial mentality manifested in their yearning for British titles. From his conviction that Australia is not only an extension of the British cultural tradition but also a significant departure from it, Kim devastatingly criticizes their self-identification as fundamentally transplanted Europeans through dissociation from their neighbors in Australia and the Asia-Pacific region. All in all, *The Chinaman* is Kim's arduous and sustained ruminations on the future direction of multiracial Australia from his unique Asian Australian positionality.

Gubaz Letodiani

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Discourse of the Magazine „Polylogi“ in 1990s

The first half of 1990s was a particularly difficult period, after two world wars and civil conflict there was crisis in political, social, economic and cultural fields. However, literature is active and the proof is an appearance of the magazine „Polylogi“ in 1994. It created different narratives, one of them definitely was georgian postmodernism. „The frequency of the crisis is more about the strength of culture than the lack of order“, we read this words on the first pages of the magazine. It is interesting to see how, with what aesthetic novelty or technical characteristics Georgian literature achieved to survive from the mentioned crisis.

The purpose of the research is to illustrate and analyze discourse of the magazine. Editor, David Barbakadze preface of the first volume, writes: „Polilogi“ means multi-purpose, multi-word, multi-law, diversity... “. In the report we will present importance of the magazine title, how it justifies and what kind of connection, dialog appears, or does not appear with the context.

გუბაზ ლეთოდანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ჟურნალ „პოლილოგი“ დისკურსი მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ფონზე

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების პირველი ნახევარი განსაკუთრებით რთული პერიოდია, ორი ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების შემდეგ კრიზისი ისადგურებს, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ სფეროში. თუმცა, ლიტერატურულა აქტიურია, ამის დასტურია თუნდაც 1994 წელს გამოსული ჟურნალი „პოლილოგი“, რომელიც განსხვავებულ ნარატივს ქმნის, ქართული პოსტმოდერნიზმი (თუკი შეიძლება ასე ითქვას) სწორედ აქ იჩენს თავს. „კრიზისების სიხშირე კულტურის სიძლიერეზე უფრო მეტყველებს, ვიდრე წესრიგის არ არსებობაზე“, – ვკითხულობთ ჟურნალის პირველ გვერდებზე. საინტერესოა რამდენად როგორ, რა ხერხებით, რა ესთეტიკური სიახლეებითა თუ ტექნიკური მახასიათებლებით აღწევს თავს ქართული ლიტერატურა ხსენებულ კრიზისს.

კვლევის მიზანი აღნიშნული ჟურნალის დისკურსის განხილვაა, მისი, როგორც ინტერტექსტის ნარატოლოგიური ანალიზი. რედაქტორის, დათო ბარბაქაძის პირველი ნომრის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „პოლილოგი“ მრავალ აზრს, მრავალ სიტყვას, მრავალ კანონს ნიშნავს, ნიშნავს მრავალფეროვნებას...“ მოხსენებაში წარმოვადგენთ თუ რამდენად ამართლებს მნიშვნელობას ჟურნალის სათაური და რა დიალოგური კავშირი იკვეთება, ან არ იკვეთება კონტექსტთან.

Tamar Lomidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Concept of Time in the Novel by Aka Morchiladze „Paliashvili Street Dogs“

The famous novel by Aka Morchiladze „Paliashvili Street Dogs“ depicts the life of Georgia in the 90s. The narrative in the novel, as indicated in the scientific literature, is conducted from a multi-perspective point of view. The multiperspective point of view is used in many literary texts and has different functions everywhere.

The multi-perspective narration in „Paliashvili StreetDogs“ does not imply the description of any phenomenon from different points of view, but is directed to Zaza Kobakhidze’s main character of the novel and depicts the meaningless, purposeless and, as a result, tragic life of this character.

The effect of this variant of the multi-perspective narration is that time in „Paliashvili StreetDogs“ is divided into separate times (characters’ life events), in which the plot develops. This is a mosaic narrative that recreates not a coherent picture of reality, but, on the contrary, creates the effect of the „disintegration of the connection of times“, which further enhances the tragic context of this novel by Aka Morchiladze.

თამარ ლომიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დროის კონცეფცია აკა მორჩილაძის „ვალაშვილის ქუჩის ძაღლებში“

აკა მორჩილაძის ცნობილ რომანის „ვალაშვილის ქუჩის ძაღლების“ ასახულია მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოს ცხოვრება. თხრობა რომანში, რო-

გორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, მულტიპერპექტიულია. მულტიპერსპექტიული თხრობა მრავალ ლიტერატურულ ტექსტში გვხვდება, მაგრამ ყველგან სხვადასხვა ფუნქცია აქვს.

მულტიპერსპექტიული თხრობა „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში“ არ ითვალისწინებს რომელიმე მოვლენის სხვადასხვა თვალსაზრისით აღწერა-დახასიათებას, არამედ მიმართულია რომანის ერთ-ერთ პერსონაჟზე, ზაზა კობახიძეზე, და სხვადასხვა პერსონაჟის თვალსაზრისით გვიხატავს ამ პიროვნების უაზრო, უმიზნო და, შედეგად, ტრაგიკულ ცხოვრებას.

მულტიპერსპექტიული თხრობის ამგვარი ვარიანტის ეფექტი ისაა, რომ დრო „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში“ დანაწევრებულია ცალკეულ დროებად (პერსონაჟთა ცხოვრებისეულ მოვლენებად), რომლებშიც სიუჟეტის განვითარებაგაშლა ხორციელდება. ესაა მოზაიკური თხრობა, რომელიც სინამდვილის კოჰერენტულ სურათს კი არ იძლევა, არამედ, პირიქით, გლობალური დროის დაქუცმაცებულობის, დაშლის „დროთა კავშირის რღვევის“ ეფექტს წარმოქმნის და კიდევ უფრო აძლიერებს აკა მორჩილადის ამ რომანის ტრაგიკულ კონტექსტს.

Kakhaber Loria

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgian Socio-Political Reality in the 1990-s According to Trilogy („Performing Coup“, „White Bear“, „Bermuda Triangle“) by Otar Chkheidze

Otar Chkheidze is one of the outstanding representatives of modern Georgian literature. Despite being an extremely multifaceted writer, he has been enlisted in the history of Georgian literature as an excel-

lent novelist, having left the heritage of highly valuable literary works. OtarChkheidze's novels are distinguished by thematic and artistic variety. At the same time, it should be noted that the writer makes special accent on the depiction of socio-political events and this way, he is even a literary chronicler of modern history of Georgia.

During post-soviet years OtarChkheidze acknowledged his literary mastery once again, releasing the trilogy on tragic political events of the 90-s; the trilogy embraced novels "Performing Coup", "White Bear", and "Bermuda Triangle". It can be said that these novels were written in the pace with the occurrence of the most important political events, which is always connected with taking certain risks in terms of creative work. However, rejection of chronological distancing was a deliberate choice made by the writer as well as the fact that he did not change authentic names of real characters. Conscious and deliberate creative choice made by OtarChkheidze also means implementation of "unembellished truth" principle, which requires exceptional literary and civic bravery and especially at those times when the case concerns a socio-political process which has not come to end yet and real people being involved in.

It should be noted that despite certain publicist-documentary features, the above-mentioned trilogy (as well as the individual novels included) is the work of high literary value. Using memorable aesthetic methods and generalizing empirical events thoroughly in terms of context, OtarChkheidze creates a tragic picture – a literary chronicle of the 90-s in Georgia.

კახაბერ ლორია

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილე ოთარ ჩხეიძის ტრილოგიის („არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერმუდის სამკუთხედი“) მიხედვით

ოთარ ჩხეიძე უახლესი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უთვალსაზრისო წარმომადგენელია. ის უაღრესად მრავალმხრივი ავტორია, თუმცა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, შევიდა როგორც შესანიშნავი რომანისტი, რომელმაც არაერთი ძალზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები დაგვიტოვა. თავის მხრივ ოთარ ჩხეიძის რომანები გამოირჩევიან თემატური და მხატვრული მრავალფეროვნებით. იმავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საგულისხმო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ასახვას და ამ მხრივ უახლესი ქართული ისტორიის მხატვრულ მემკვიდრეობადაც კი გვევლინება.

პოსტსაბჭოთა პერიოდის წლებში ოთარ ჩხეიძემ თავისი მხატვრული ოსტატობა კიდევ ერთხელ გამოავლინა 90-იანი წლების ტრაგიკული პოლიტიკური მოვლენების ამსახველ ტრილოგიაში, რომელშიც შევიდა რომანები: „არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“ და „ბერმუდის სამკუთხედი“. აღნიშნული რომანები, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა ცხელ კვალზე იწერებოდა, რაც თავისთავად ყოველთვის გარკვეულ შემოქმედებით რისკთანაა დაკავშირებული. მაგრამ ქრონოლოგიურ დისტანცირებაზე უარის თქმა წარმოადგენდა მწერლის შეგნებულ არჩევანს, ისევე როგორც ის ფაქტი, რომ ავტორმაარ შეცვალა რეალურად არსებულ მოქმედ პერსონაჟთა ნამდვილი გვარ-სახელები. ოთარ ჩხეიძის გაცნობიერებული შემოქმედებითი არჩევანი ასევე გულისხმობს „შეულამა-

ზებელი სიმართლის“ პრინციპის განხორციელებას, რაც იშვიათ ლიტერატურულ და მოქალაქეობრივ გამბედაობას გულისხმობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე, არსებითად, ჯერ კიდევ ბოლომდე დაუსრულებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესსა და ამ პროცესებში ჩართულ რეალურად არსებულ ადამიანებს ეხება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გარკვეული პუბლიცისტურ-დოკუმენტური ჟღერადობისა, ზემოხსენებულ ტრილოგია (ისევე როგორც მასში შემავალი ცალკეული ნაწარმოებები) წარმოადგენს მაღალმხატვრულ შემოქმედებით მოცემულობას. ოთარ ჩხეიძე დამამახსოვრებელი ესთეტიკური ხერხებითა და ემპირიული მოვლენების ღრმად შინაარსობრივი განზოგადებებით ძერწავს ეპოქის ტრაგიკულ სურათს, ქმნის 90-იანი წლების საქართველოს მხატვრულ მატრიანეს.

Tatiana Megrelishvili

Georgia, Tbilisi

Georgian Technical University

**„Game“ as a Model of Thinking and its Artistic Embodiment
in the Literature of Russian Postmodernism
(Abram Tertz „Walks with Pushkin“)**

One of the first in Russian postmodernism was Abram Tertz (A. Sinyavsky) who demonstrated this type of „playful thinking“ in his book „Walks with Pushkin“. He advocates the ideology of the sphere of spiritual life, defending the principle of non-partisanship of literature and art. The writer revives and transforms the idea of pure art on a postmodern basis, which thinks as the highest form of artistic creation, the most truthful and completes form of knowledge of the world and man.

As a phenomenon of pure art (in its new understanding) Abram Tertz views Pushkin's work. The report will examine the categories of „emptiness“, accidents in Pushkin's artistic world, its connection with such key concepts as freedom and fatalism, which makes it possible to assert about its form-building function – creating order from chaos. At the same time, the report will address issues of cultural inter text deconstructed by Abram Tertz, which gives an idea of the pluralistic type of thinking and is generated by such a type of virtual probabilistic world in which there is not so much an author as his mask that can be considered as one of the types of implementation of a postmodernist ideas of the „death of the author“.

Methodologically, the report is based on the works of M.Fuco, J. Deleuze, J.Lotman, V.Podoroga and also author's research.

Lili Metreveli

Tatia Oboladze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Traumatic Memory in Postcolonial Georgian Art Space

In 90s of 20th century Georgian public consciousness faced the significant challenge. On one hand, it was necessary to properly re-think and evaluate the soviet experience, redefine the national identity and on the other – restoration of the artificially broken relations with the western cultural context and integration of Georgian art into the European space.

Similar to 10s of the 20th century, in the 90s, Georgian young people comprised the progressively thinking part of the society that undertook the mission of modernization of Georgian culture. In the 80s of 20th century, in the conditions of the soviet rule, new group of Georgian artists appeared („The Archivists“, „Tenth Floor“). Their ideological leader and theorist was Karlo Kacharava, young painter,

poet, essayist and art-critic. The avant-garde group included the rebel and talented young people (Niko Lomashvili, Niko Tsetskhladze, Guram Tsibakhashvili, Maia Tsetskhladze etc.), attempting, through unordinary forms of expression (actions, exhibitions in unusual places) to break through the closed space, get free from the traumatic memory and inclusion of Georgia, as an independent country with rich cultural traditions into the world context.

Within the scopes of our report we shall discuss Karlo Kacharava's many-sided heritage (poetry, critical articles, paintings) and attempt to demonstrate, on the basis of interdisciplinary and comparative analysis, the position of Georgian avant-gardist, as an artist and thinker with post-colonial experience –Karlo Kacharava's vision of Georgian art processes in 80-90s and their relations to the western cultural context.

ლილი მეტრეველი

თათია ოზოლაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ტრავმული მეხსიერება პოსტკოლონიურ ქართულ სახელოვნებო სივრცეში

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ქართული საზოგადოებრივი ცნობიერება მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ერთი მხრივ, აუცილებელი გახდა საბჭოთა გამოცდილების მართებული გააზრება და შეფასება, ნაციონალური იდენტობის ხელახალი განსაზღვრა, მეორე მხრივ, კი დასავლურ კულტურულ კონტექსტთან ხელოვნურად შეწყვეტილი კავშირის აღდგენა და ევროპულ სივრცეში ქართული ხელოვნების ინტეგრაცია.

მე-20 საუკუნის 10-იანი წლების მსგავსად, 90-იან წლებშიც სწორედ ქართული ახალგაზრდობა აღმოჩნდა საზოგა-

დოების ის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ქართული კულტურის მოდერნიზაცია. გასული საუკუნის 80-იან წლებში, ჯერ კიდევ საბჭოთა მმართველობის პირობებში, გამოჩნდა ქართველ ხელოვანთა ახალი დაჯგუფებები („არქივარიუსები“, „მეთე სართული“), რომელთა იდეოლოგიურ წინამძღვრად და თეორეტიკოსად ახალგაზრდა მხატვარი, პოეტი, ესეისტი და არტ-კრიტიკოსი კარლო კაჭარავა მოგვევლინა. ავანგარდისტული დაჯგუფება აერთიანებდა მემამოხე და ნიჭიერ ახალგაზრდებს (ნიკო ლომაშივილი, ნიკო ცეცხლაძე, გურამ წიბახაშილი, მაია ცეცხლაძე და ა.შ.), რომლებიც არაორდინალური გამოხატვის ფორმებით (აქციებით, უჩვეულო ადგილებში გამოფენების მოწყობით) ცდილობდნენ ჩაკეტილი სივრცის გარღვევას, ტრავმული მეხსიერებისგან გათავისუფლებასა და მსოფლიო კულტურულ კონტექსტში საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი და მდიდარი კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყნის, ჩართვას.

ჩვენი მოხსენების ფარგლებში განვიხილავთ კარლო კაჭარავას მრავალმხრივ მემკვიდრეობას (პოეზია, კრიტიკული წერილები, მხატვრული ტილოები) და შევეცდებით, ინტერდისციპლინური და კომპარატივისტული ანალიზის საფუძველზე გამოვავლინოთ ქართველი ავანგარდისტის, როგორც პოსტკოლონიური გამოცდილების მქონე შემოქმედისა და მოაზროვნის, პოზიცია, – თუ როგორ ხედავს კარლო კაჭარავა 80-90-იანი წლების ქართულ სახელოვნებო პროცესებს და მის მიმართებას დასავლურ კულტურულ კონტექსტთან.

Inga Milorava

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Return to Sokhumi's Sensory Field

(Guram Odisharia, „Return to Sokhumi“)

A lot of tragic events occurred in Georgia in the 90s. Their assessment is necessary. One of the most tragic events was the Abkhaz war and the loss of Sokhumi. This topic has its informative and sensitive aspects. Artistic literature accurately reflects the epoch, its tendencies, political, social and emotional shifts and changes. In this sense Georgian literature is quite rich. Various factories were dedicated to the war in Abkhazia, including Guram Odisharia's „Return to Sokhumi“.

Artistic world of Guram Odisharia differs from the many works of the work created on this topic and has other painting purpose. Guram Odisharia revives Sokhumi through his speech in the book, which is his native and loved. His vision of war, pain, injustice, internal decline, impairment of human life which has brought war, but at the same time his attitude is warm, nostalgic. The writer still loves his native city. She loves her residents. His text is created for love and reconciliation, and it is the main dignity of this book.

The writer believes that the main thing is not to restore territorial integrity. It is not enough to return the land of Abkhazia. The main goal should be the return of a human being – the writer's opinion. From his writings it seems to be clear about the attitude towards politics. Politicians do not pay attention to human factors, they see only big policies and schemes. Guram Odsharia returns to Abkhazia in his book. This is back in the word and sensory field. The main thing here is human and human connections and feeling of inner integrity. This book was published five times since 1995. He really plays the role of an imaginary bridge. Through Guram Odisharia's book, people return to Sokhumi with other people, return to love and friendship.

ინგა მილორავა

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დაბრუნება სოხუმის გრძნობიერ ველში

(გურამ ოდიშარია, „სოხუმში დაბრუნება“)

